138/1914/2

ნაკადული

1914

თებერვალი, № 2. მოზრდილთათვის.

150/19
1914
ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი

წელიწადი მეათე. თებერვალი, 1914 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი.

I — სურ. 1

II — კლდე და ჩანჩქერი, — ლექსი ვ. გორგაძის. . . . 3

III — წმინდა ბასილი, — დუთ იმნაძის 5

IV — გლეხი, — დავ. კილოსანიძის. 11

V — კერა არ გაუცივდათ, — შ. გარიყულის . . . 13

VI — ბავშვები, — (დასასრული) პოემა ი. მჭედლიშვილის. . 19

VII — ბრძენთა წყარო, — ლეგენდა სელმა ლაგერლეფის, თარგ. კორდელის. 24

VIII — თუთიყუში პოლლი, — (თარგ.) შუშანიკა ასათიანის. 35

IX — ანტონ ფურცელაძე, — (ნეკროლოგი) ალ. მირიანაშვილის 41

X — ფრთოსანი ფიქრები, — (თარგმანი) გ. ლ—ძის. . 46

XI — ტროადის ომი, — (გაგრძელება) ალ. მიქაბერიძის . . 53

XII — ჟურნალ-გაზეთებიდან, — მცურავი ქალაქი . . 60

XIII — გასართობი: რებუსი და ახსნა 64

ტფილისი, ელექ.-მბეჭდ. ა. კერესელიძის, გაბაევის შესახვევი, № 1.

კლდე და ჩანჩქერი.

მთიდან მოჰქუხდა ჩანჩქერი,
ანკარა წყარო მთებისა;
ფრთებზე აესხა მძივები
ლამაზი ყვავილებისა;

ვერცხლის ფერ ძაფად ქცეული,
კლდის ფიქალს ეხეთქებოდა
და თან მუდარა-ჩივილით
შესთხოვდა, ევედრებოდა:

—გამიშვი, კლდეო, პირ-ქუშო,
გზა დამიცალე ჩქარაო;
მომწყინდა მარტო აქ, მთებში,
შხუილი წარა-მარაო!..

ბარისკენ მივქრი!..—იქ ველი
ათასფრად მოქარგულაო;
ია და ვარდი კეკლუცი
გაშლილა, გაფურჩქნულაო!..

მომნატრდა ბარად, მინდორზე
რაკრაკი, მღერა ტკბილიო,
ფრინველთ ჭიკჭიკი საამო,
ტყე მწვანედ შეფოთლილიო!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშ რაღას უცდი?—ჩამოდექ!..
მომე გზა, დამიცალეო;
გამიშვი, შენ დღეგრძელობას,
გამიშვი, გენაცვალეო!..

ბევრი ეხვეწა ჩანჩქერი,
თხოვნით თავს შემოუარა,
მაგრამ კლდემ არ შეისმინა
მისი თხოვნა და მუდარა!..

გაბრაზებული ჩანჩქერი
კლდეს ეხეთქება ქშენითა
და ისევ მწარედ დუდუნებს
ბუზღუნითა და წყენითა...

ვ. გორგაძე.



ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲑᲐᲡᲘᲚᲘ *).

(ძღვნად ძვირფას მამას).

ახალწლის საღამოა. სოფელში ყველგან ფაცი-ფუცია. ყველა, დიდი და პატარა, მხიარულად ემზადება მომავალ დღესასწაულისათვის. ყველა სახლები გაჩაღებულია. მხოლოდ ჯაროს პატარა ფაცხაა ჩამობნელებული; მკრთალად ანათებს კერაზე მბჟუტავი ნელი ცეცხლი. კერასთან არც ფაცი-ფუცია, თითქოს ჯაროსთვის არ თენდებოდეს ახალი წელი.

ჯაროს ქრაქის ანთება შეზარებია. ის ჩაფიქრებული ზის ჩანელებულ ცეცხლის პირად პატარა ხის ჯორკოზე **) დ სევდიანი თვალებით მის პირდაპირ ცეცხლის პირად მჯდომ პატარა გოგონას შეჰყურებს.

---

*) გურულები ახალ-წელს წმინდა ბასილის დღეობად სთვლიან.

**) დაბალი გრძელი სკამი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგონას მუხლებზე დაბჯენილი ხელები თავზე შემოუწყვია და ისიც დაფიქრებული ცეცხლს თვალს ადევნებს.

ფიქრობს გოგონა; და განა არაა საფიქრებელი? შარშან ამ დროს, როცა დედა ცოცხალი იყო, ამ კერასთანაც დიდი ფაცა-ფუცი იყო; ვინ მოსთვლის რაებს არ აკეთებდა დედა ახალი წლისათვის: ხაჭაპურებს აცხობდა, ღორს ხარშავდა, ქათმებს წვავდა, ინდაურს ასაცივებდა, ჩიჩილაკისათვის პატარა ხაჭაპურებს აცხობდა... თეოსაც ხომ გამოუცხო მშვენიერი პატარა ხაჭაპური. ოჰ!.. რა მშვენიერი იყო! რა ბედნიერი იყო მაშინ პატარა თეო.

ახლა-კი!.. არავინ არაფერს აკეთებს. ან-კი სადაა, რომ გააკეთონ? არც ქათმებია, არც ღორი და არც პატარა გოჭები... დედა არ არის, და ვინ გაზრდიდა?.. მამას ჩიჩილაკიც-კი არ გაუკეთებია...

— მამა, ახლა კალანდა საჩხინავში *) იქნება ჩამოსული? — შეეკითხა უცებ პატარა თეო მამას.

— კი, შვილო, ახლა საჩხინავში იქნება, და ხვალ-კი ღვთით ამ სახლში ჩამოვა.

— მერე ჩვენ რომ არაფერი გვაქვს?

— გვექნება, შვილო! წმინდა ბასილი მოიტანს.

— მართლა! — მხიარულად წამოიძახა თეომ და შავი დიდრონი თვალები მამას მიაპყრო.

— მაშ რა გეგონა, ჩემო საცოდავო გოგონავ? მოიტანს, უთუოდ მოიტანს, — იმედიანად მიუგო მამამ და თან მძიმედ ამოიოხრა.

— ყველას მოუტანს, მამა, წმინდა ბასილი ყველაფერს?

— ყველას, სულ ყველას...

— კონსტანტინესაც!

— რასაკვირველია იმასაც.

— იმათ რომ ყველაფერი ბევრი აქვთ?

*) სახლის სახურავზე ქვეშ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე რა უყოთ, შვილო, წმინდა ბასილისათვის მდიდარი და ღარიბი სულ ერთია—ყველასათვის რამეს მოიტანს.

— ოჰ! მამა, ნეტა გენახა რამდენი ქათმები და ინდაურები ჩაყარეს კონსტანტინესას საშობოდ ძარში *). ქათმებს სულ ყველას ფეხები დაბანეს, სწორედ ისე, დედამ რომ ქნა შარშან—კარგად გასუქდებაო; ინდაურებს-კი ნიგოზი მარომ ჩაუდვა პირში,—გახსოვს შარშან, ჩვენ ინდაურებს მე რომ ჩაუდევი და რომ უთხარი—კალანდამდი გასუქდი მეთქი; კიდევაც გასუქდა... უშველებელი გახდა. დედა მპირდებოდა მაშინ—შენ კაი ხელის ყოფილხარ, და გაისადაც შენ ჩაგადებინებო... ჩვენი დუნდულა ლორიც როგორ გასუქდა—გახსოვს?—ტიკტიკებდა თეო და ხან-და-ხან, ჩაფიქრებული, სევდიან თვალებს ცეცხლს მიაშტერებდა.

ჯარო მწუხარედ შეჰყურებდა თავის ერთად-ერთ ნუგეშს—პატარა გოგონას, და თვალები ცრემლებით ევსებოდა; შემდეგ წამოდგა, მივიდა თეოსთან, აიყვანა ხელში და მხურვალედ გულში ჩაიკრა.

თეო მაგრად მიეკრა ჯაროს გულზე დ გულ-აჩუყებულმა ტირილი დაიწყო. ჯარო ნაზად უსვამდა თავზე ხელს პატარას და ნელი ხმით ამშვიდებდა; ხმა-მაღლა დალაპარაკებას ვერ ბედავდა: ეშინოდა თვითონაც არ ატირებულიყო. ტირილში კიდევაც ჩაეძინა თეოს.

ჯარო მივიდა გრძელ ტახტთან, რომელიც იქვე კედელთან იდგა, დააწვინა ზედ ბავშვი, ზევიდან ორი ბამბის საბანი დაახურა, ფრთხილად, მაგრად აკოცა შუბლზე და ცეცხლთან დაბრუნდა. იჯდა ჯარო დაფიქრებული და ჩანელებულ ცეცხლს დაჟინებით მისჩერებოდა. მისი შავი თმა, ხშირი წვერი, ფართო წარბები, წარბებ შორის ფიქრისაგან დაჩნეული გრძელი ნაოჭი უზომო კეთილ და საბრალო გამომეტყველებას აჩნევდა მის სახეს.

*) თხილის წნელისაგან დაწნული სასუქი.

სოფელში ხმაურობა მისწყდა; მხოლოდ ახლო [illegible] მხიარული სიმღერა მოისმოდა: —სოფლის ბიჭები მღეროდნენ! მალე ისიც მისწყდა და სოფელში მყუდროება ჩამოვარდა, რომელსაც ხან-და-ხან მეზობლის უდროოდ გაღვიძებულ მამლის ყივილი თუ დაარღვევდა, ან შორიდან ყრუდ მოტანილი ფრთხილი ძაღლის ყეფა.

უჳ!.. რა საზარელი იყო ჯაროსათვის ძაღლის ყეფა ამ ყრუ ღამეში!

დიდხანს იჯდა ჯარო ასე დაფიქრებული, შემდეგ უცებ წამოდგა, წელში გასწორდა, სახლის წინა კარი გამოაღო და ეზოში გამოვიდა. საშინლად ბნელი, საიდუმლოებით მოცული ღამე იყო, თუმც ცაზე ვარსკვლავები ციმციმებდნენ. ჯარო უცებ შედგა და უკან დაბრუნება დააპირა, მაგრამ სწრაფად ისევ წინ გასწია, ალაგეზე *) ფრთხილად გადაიარა და დიდ შარაზე გავიდა. ახლა თვალებში თითქოს სინათლეც მოემატა, ან ღამემ ინათლა—ჯარო უკვე მშვენივრად ხედავდა ყველაფერს და ირგვლივ გამეფებული სიბნელე და მყუდროება აღარ აშინებდა.

რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და დიდი ეზოს ჭიშკარი ისე ფრთხილად შეაღო, რომ ძაღლებსაც-კი არ გაუგიათ, მხოლოდ სახლის გვერდით მდგარ ხეზე ქათამმა შეიკაკანა.

სახლის ფანჯრიდან სინათლე მოსჩანდა; ეტყობოდა სახლში ჯერ კიდევ ყველას არ ეძინა.

ჯარო ფრთხილად მივიდა კართან და სამჯერ დააკაკუნა.

— ვინ ხარ? – მოისმა სახლიდან ვიღაცას გაკვირვებული ხმა.

„წმინდა ბასილ მობრძანდება!“... დაიწყო ჯარომ აკანკალებული ბოხი ხმით.

„წმინდა ხართ და წმინდად დახვდით;

„საფერხავი **) კართან დადგით!

---

*) ღობეზე გადასასვლელი ადგილი.

**) საკვლეველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თქვენ ქვენა კარში გაბრძანდით!“

დაასრულა ჯარომ თუ არა, სახლში ჩოჩქოლი შეიქნა...

— ღმერთო მაღალო! ეს რა გვეღირსა: თვით წმინდა ბასილი მობრძანდა ჩვენსა საფერხავად,—გახარებული იძახდა ყველა და ფაცა-ფუცს შეუდგნენ—დიასახლისი, ბავშვები, გოგოები; აქეთ-იქით გარბოდნენ და ყველა რაღაცას მოარბენინებდა ძვირფასი სტუმრისათვის მისართმევად.

— აბა, გობი, მალე! გობი მოიტანეთ!—

იძახდა კონსტანტინე და სახელოებ—აკეცილი იქვე მაგიდაზე გაგრძელებულ ვეებერთელა ღორს საუკეთესო ნაჭრებს აცლიდა.

მალე დიდი გობი, რომელიც სავსე იყო ქათმებით, გოჭით, ღორის ხორცით, ხაჭაპურებით, კვერცხით, კამფეტებით, ფორთოხლებით და ათასი რაღაცეებით, ფრთხილად მიიტანეს და დადგეს წინა კართან. შინაურები-კი ყველანი ქვედა კარის უკან მიიმალნენ. ჯარომ ფრთხილად შემოაღო კარი, აიღო გობი, რომელიც ცოტა არ იყოს ემძიმა კიდეც, მაგრამ მხარზე-კი მაინც მარდად შეიდგა და შინისაკენ გაემართა...

ახლა-კი გაუთენდება ჩემ გოგონასაც კარგი ახალი წელი,—ღიმილით წარმოსთქვა მან, როცა სახლში შემოვიდა და გობი ტახტზე თეოს გვერდის, დადგა; მივიდა ცეცხლთან, შეშა შეუკეთა, ცეცხლი გააღვია, ჩოხის ჯიბიდან ჩიბუხი ამოიღო, თუთუნით გატენა და მოსწია.

სოფლიდან ხშირი მამლების ყივილი მოისმა:—თენდებოდა. აქა-იქ თოფიც გავარდა. პატარა ხანს შემდეგკი, თითქოს მტერი შემოსევიათო, სოფელში გაუწყნარებელი თოფის სროლა მოისმოდა:—ახალ წელს ეგებებოდნენ.

ჯარო-კი ისევ ისე იჯდა გაუნძრევლად, ახლა უკვე თითქმის ჩამქრალ ცეცხლის პირას, და ისევ აბოლებდა ჩიბუხს.

ხმაურობაზე გაეღვიძა პატარა თეოს, გამოიხედა და სიხარულით წამოვარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მამა, მოუტანია მოუტანია, მამა!—დაიძახა მან.

ჯარო შეკრთა, ჩიბუხი ხელიდან გავარდა და უაზროდ დააცქერდა შვილს, რომელიც ერთ წამს გადმოხტა, დაავლო ხელი კამფეტს, მოეხვია მამას კისერზე დ სიცილით დაუწყო კოცნა, მაგრამ უცებ შესდგა და ჩახედა მამას თვალებში.

— მამა, შენ ტირი?

— სიხარულით, ჩემო გვრიტო, სიხარულით,—უთხრა მან და საჩქაროდ მოიწმინდა თვალები.

ლეო იმნაძე.

გლეხი.

(სურათი);

ბნელი მიწური. დაბალი ჭერი; პატარა ფანჯ-რები. შეხუთული ჰაერი.

აქ დავიბადე.

ხის აკვანი. გასართობი ღვინჭილა. დედის ნანა.

ესე ალვიზარდე.

ოთხზე ჩოჩვა. გულ-ამოსკვნით ტირილი. დედის კალთა.. მაყვალზე სირბილი.

ესე ყრმად ვიქეც.

ეროვნული

ღამის მეხრეობა. ოროველა გუთანზე. ურმ[illegible]ნი. ნამგლის ტრიალი. ყურძნის წურვა.

ესე დავვაქკაცდი.

ჯვარის წერა. ოჯახის გამრავლება. მიწის სიმცირე. აუტანელი სიღარიბე.

ესე ვსცან ცხოვრება.

დავ. კილოსანიძე.

კერა არ გაუცივდათ.

— კაკ-კუკ—კაკ-კუკ!—მობაკუნობს პატარა ტასო ხის ქოშებით რკინის გზის სადარაჯო სახლიდან; დაადგა ლიანდაგს და გასწია აღმოსავლეთისკენ; იღლიაში პატარა ახალ-ნაყიდი წუღები ამოუჩრია.

დეკემბრის ქარი გაათრებით სცემს ცხვირ-პირში, უნდა პირი აბრუნებინოს პატარა გოგოს და გააქციოს სახლში; მაგრამ ტასოს არ ეშინია მძვინვარე ქარისა: მიდის და მიეშურება მეგობართან; ახალ წუღას მიუტანს და გაახარებს. თებროს დედა ლოცვა-კურთხევით გამო-

ისტუმრებს და განა ეს არ ღირს იმად, რომ ტასომ გაუძლოს ქარ-ბუქს, სიცივეს; თამამად იაროს და მივიდეს დანიშნულ ადგილას? და მიდის კიდეც.

შორს რკინის გზაზე გამოჩნდა პატარა წერტილი; თანდა-თან იმატა. ტასომ იცნო თავისი მეგობარი თებრო. მორბის, მოაფრიალებს კაბის ნაფლეთებს; შიშველ ფეხებს უშრის ქვიშა; თმა ქარისაგან დაშლია და გასწეწია. ტასო დადგა, ხელს უქნევს, წუღას შორიდანვე უჩვენებს. თებრომაც იცნო ტასო; დაინახა წუღები; თავის წუღები. დედა მისმა გუშინ-წინ ორი ქათამი მიჰყიდა და ტასოს მამას შეეხვეწა: „ქალაქში თუ ნახვიდე ამ საახალწლოდ, ჩემ თებროსთვის წუღები მიყიდეო; ნუ დამიტოვებ ფეხ-შიშველს. სიობლეც ეყოფა საცოდავსო.“

ტასოს მამა რკინის გზის დარაჯია, წვრილი ცოლ-შვილის პატრონი; სადარაჯო სახლში ცხოვრობს; გამრჯელი და მშრომელი ცოლ-შვილი ჰყავს. პატარა ტასო თავისი დებით ლამაზ კალათებს სწნავენ; შაბათობით მამას მიაქვს ქალაქში და ჰყიდის. აი, ახლაც იყო ქალაქში, თავისი კალათები გაყიდა; თებროსაც უყიდა წუღები და მოუტანა.

უყურებს თებრო თავის წუღებს; კი არ მოდის გოგო— მოფრინავს; მოაღწია, მოქაქანდა—სულს ძლივს იბრუნებს.

— ფეხები ტალახიანი გაქ, გოგო! როგორ ჩაიცვამ?— დაუძახა ტასომ შორიდან.

მიესალმნენ ერთმანეთს, გასინჯეს წუღა, შეატრიალეს ხელში.

— აბა, გასინჯე!

— ფეხები რომ ტალახიანი მაქვს?

— მოდი დავბრუნდეთ ჩვენსა: ღუმელი გვინთია,— ისე თბილა, ფეხს დაგაბანინებ; ჩაიცვი და ისე წადი,—ურჩია მეგობრულად ტასომ.

— კარგი, წამოვალ.

ახლა ზურგი შეაქციეს ქარს და გამოიქცნენ. უკვე შე[illegible] ბინდდა. რკინის გზის გასწრივ წითლად მოსჩან[illegible] შორს დადგმული სანათურები. შეცვივდნენ ეზოში; პატარა ქვის კიბე უნდა აირბინონ და თბილი ოთახიც დახვდებათ.

— ჩუ… — დაიძახა ტასომ ბ დამფრთხალი გადახტა უკან. რაღაც კნავილი შემოესმათ. თებროს ფეხებში რაღაც გამოედო და კაბეზე კინაღამ გაიშხლართა.

— ვაიმეე! — დაიღრიალა გოგომ. ხმაურობაზე შინ მყოფთ გამოაღეს კარი. სინათლეზე დაინახეს, რომ თებროს ფეხებში ეგდო რაღაც ბოხჩა. ტასიკოს დედამ დაავლო ხელი: ბოხჩამ დაიკნავლა.

— ბავშვია! — დაიძახეს და შეარბენინეს სახლში. თებრომ გული მოიბრუნა. მთელი ოჯახი პაწაწინა არსებას შემოეხვია. ერთი ჟრიამული გამოიწვია ყმაწვილებში უცხო სტუმრის გაჩენამ: — საცოდავი გაციებულა!

— ღმერთო, რა ულვთოობაა! ვის მოსძულდა ასეთი ანგელოზი? — გადაიწერა დედამ პირჯვარი.

— რა უყოთ ახლა, რა უყოთ? — მიეცნენ ყველანი საგონებელს.

ამ ალიაქოთში ოჯახის უფროსიც შემოვიდა სახლში; ლამის სანათური ჩააქრო, კუთხეში დასდვა, ყაბალახი მოიხსნა და გაშტერებული მიაჩერდა ჯალაბს, რომელიც რგვალ მაგიდას ეხვევოდა.

— ეს რა ჩხავის, დედაკაცო?

— პავლე! რა საცოდაობაა: ვიღაცამ ბავშვი შემოგვიგდო.

— ბავშვი?

— ჰო, ბავშვი; საცოდავი სულ გაყინულა.

— ერიჰაა… სეირი თუ გინდა — ეს არის დაა. არა, რა მდიდარი ვინმე მე მნახა იმ უჭკუო ოხერმა, ვიღაცა იყო. წაიყვანე — იქით გადააგდე, ნუ აჩხავლებ: ჩემი შვილებიც ვერ მირჩენია.

— კაცო! გული არა გაქვს! როგორ გადავაგდოთ ადამიანის შვილი მგლებს მიუგდო?—უთხრა ცოლმა წყენით.

— ვისაც გინდა—იმას მიუგდე; აქ-კი ნუ აჩხავლებ.

— დახედე ერთი, კაცო, რა ლამაზი სახის ბავშვია: ნამდვილი ანგელოზია.

— მომაშორე აქედან! მაინც არა ვარ კარგ გუნებაზე.

— რა იყო, რა დაგემართა, კაცო?

— რა და ჩვენი უბედურება. ამას წინად მატარებელი რომ გადავარდა, მეც გაუხვევივარ იმ საქმეში. უფროსმა დამიბარა.

— მერე შენ რა, რა შენი ბრალი იყო?

— რა ბრალი! დაიწყებ, რაც არ იცი.

— რომ არ ვიცი, შენ მაცოდინე—გამაგებინე.

— გაგაგებინებ იმას, რომ გამაგდებენ სამსახურიდან და წადი პავლე და არჩინე ცოლ-შვილი; აქ კიდევ სხვისი აიკიდე.

დიასახლისი საკუთარ უბედურების შიშმა მოიცვა; სულ გადაავიწყდა საწყალი უპატრონო ბავშვი, რომელიც გათბა და ახლა აღარ ჩხაოდა.

— ჩვენ ხომ ძროხა გვყავს, დედა; ორი ჭიქა რძე ეყოფა,—სთქვა ტასომ და აიყვანა პაწაწა.

— ეს რა ამბავია? ამ ოჯახში მე აღარ უფროსობ, თუ რა მესმის!—დაიყვირა მამამ. ყველამ ხმა ჩაიწყვიტა. ტასომ და თებრომ შეხედეს ერთმანეთს.

— მაშ რა უყო ამ უბედურს?—იკითხა დედამ.

— მე წაუყვან დედას, ძუძუს აჭმევს!—დაიძახა თებრომ.

— მართლა, გოგო! შენ გაგახსენდეს ყოველი კარგი. თქვენი ანიკო მაინც ვერ ერევა ძუძუს; ცოტა ხანს აჭამოს, და მერე რაც იქნება...

— იმას ხომ ბევრი აბადია, ქვრივ ოხერს, თქვენმა მზემ!—დასცინა პავლემ.

— საკუთარი ქოხი მაინცა აქვს,—წაიბუტბუტა დედამ[illegible] წამოიხურა შალი, აიყვანა ბავშვი, შებურა, თავისი ტან[illegible] თებროც გაირეკა წინ და გასწია თებროს დედასთან,

II

—, მართა, სირცხვილია ჩემი, რომ შენ მოგაყენე კარზე ეს მოგდებული ბავშვი. მოვალეობა ჩემი იყო—მე უნდა გამეზარდა, მაგრამ ჩემი საქმე ისეა, რომ ვერ ვკიდებ ხელს და ახლა შენ იცი და შენმა ქალობამ. ძუძუ კარგი გაქვს: გაუყავ შენს შვილს; სამაგიეროდ სიკეთეს მოგცემს ღმერთი. მე ცოდვილმა ვერ შევძელ სტუმარ ანგელოზის მიღება...— დაასრულა სიტყვა და გადასცა ბავშვი თებროს დედას.

ახალგაზრდა ქვრივს სამი თვეა რაც მარჩენალი დაეკარგა და ორი თვის ქორფა გოგო დარჩა ძუძუზე.

მართამ ჩამოართვა ბავშვი, დაჰხედა ცეცხლის სინათლეზე, იქვე ჩაჯდა და მისცა ძუძუ პირში. პატარა სიამოვნებით აკრუტუნდა, წაავლო პირი და წოვნაში ტკბილად ჩაეძინა.

— ნეტა გოგოა, თუ ბიჭი?—იკითხა დედამთილმა.

— ბიჭი უნდა იყოს. წოვნაზე ვატყობ.

— ხვალ მოვალ, ჩემო მართა, და ვნახავ; ახლა ცუდ გუნებაზე დავტოვე კაცი, და მივხედავ. მშვიდობით იყავ! კეთილი იყოს ამ ბავშვის შენს ოჯახში შემოსვლა!—დაემშვიდობა ქალებს და წავიდა.

— მოდი, დედა, გავხსნათ; გული მიფანცქალებს—ბიჭია თუ გოგო.

— ვნახოთ, შვილო! იქნებ ეს ბავშვი ღმერთმა მოუვლინა ჩემ ოჯახს ნუგეშად—მიუგო დედამთილმა.

გახსნეს. ბავშვი სუფთა საგებებში იყო შეხვეული, ლამაზი პერანგით და თავსახვევით.

პატარა შეიშმუშვნა, გააზმორა, პაწაწა ხელებით წაეტანა მართას ხელებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ მოსტყუვდა დედა—ბიჭია! გმადლობ ღმერთო ამ საჩუქრისთვის. ჩემს თებროს და ანოს ამან უნდა გაუწიოს ძმობა.

— ღმერთო ძლიერო, თუ წარსული წელიწადი ავი და შავი იყო ჩემთვის, მომავალი კეთილად შემიცვალე: წარმოუვლინე ჩემ ოჯახს მხსნელი ამ ყრმის სახით. კეთილი იყოს შენი ფეხი, ბიჭიკო, ჩემ საწყალ ქოხში!—აღაპყრო ხელი მოხუცმა.

— დედა, ანო დიდია, ლოგინში ჩავიწვენ; ამას-კი აკვანში ჩავაწვენ.

— კარგი...

გაუწყვეს აკვანი, აიყვანა მართამ ბავშვი.—პერანგიდან რაღაც შეხვეული ქაღალდი დავარდა.

— ეს რაა?—დასწვდა ტასო...

ქალებმა გაშალეს ქაღალდი და ხუთი წითელი ქაღალდი გადმოვარდა.

— ფულია, დედა!

— რამდენია, შვილო?

— წერილიც იქნება. დახედე, შვილო—სჩანს მოყვარულ დედას გამოუსტუმრებია.

„პატარა ბიჭი უნათლავია,“—ეწერა წერილში.

— ბიჭი არ მყავდა, ღ მომცა ღმერთმა,—ჩაიკრა გულში მართამ ბავშვი.

— კიდევ გმადლობ, უფალო, კერა რომ არ გამიცივე, კერა...

— დიდ არს ნება შენი, უფალო!—კიდევ აღაპყრო ხელი მოხუცმა და დაემხო პატარა ხატის წინ მუხლებზე...

ახალგაზდა დედა-კი დედობრივის გრძნობით დაეკონა პაწაწას და ჩაიკრა გულში... თებროს აღარ ახსოვდა თავის წუღლები და ფაცა-ფუცით უსწორებდა აკვანს ახლად შეძენილ ძმას.

მ. გარიყული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვები.

(დასასრული)

IV

ღამე არის, გოგის სძინავს;
ჰხედავს სიზმრებს სხვა-და-სხვა ფერს;
ამ დროს გარედ ქარი გმინავს,
ატრიალებს თოვლის ნამქერს.
სადღაც რაღაც მოჰგლიჯა და
მიახეთქა მძლავრად კედელს,
შემდეგ მძიმედ დაიგმინა
და, ვით ობოლს, ცრემლთა მფრქვეველს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილეულ ხმით მიეძინა...
სს... შორს კიდევ დაიკვნესა,
ისე მწარედ, თითქო ვიღაც
განშორდაო სიცოცხლესა...
შეკრთა გოგი, გაიღვიძა,
გამოაღო თვის სარკმელი:
ზეცა ლაფის ზღვასა ჰგვანდა,
შემურული, მკაცრი, ბნელი.
ზედ ღრუბლები დაცურავდნენ:
როგორც კუპრში კუდიანნი,
მოკრუნჩხულნი და კუდ-გძელნი,
უცხვირო და გძელ-რქიანნი.
შორს ვიღაცამ დაიკვნესა,
შორს ვიღაცა სულსა სწურავს;
შორს ვიღაცა თითქო ამბობს:
„არც მაცვია, არცა მხურავს...
„ჰეი, ვინ ხარ ღმობიერი,
„ან მოწყალე ვისა გქვიან,
„მოვედ ჩვენდა ნუგეშინით,
„მოვედ—გვცივა, მოვედ—გვშიან.“
—აქედ წამოთ, ჰორო, ხაზო,
გოგია ვარ, მწყალობელი!
გასძახა რა ეს გოგიამ,
გააღვიძა თვის მშობელი:
—შვილო, ამ დროს ვის ეძახი;
დაწე, დედა გენაცვალოს;
შვილო, სიზმარს ხომ არ ჰხედავ?
გაიღვიძე—შეგეცვალოს.
წამო, წამო, აი იქა,
აი შენი სარეცელი;
დაწე, შვილო, დედა ღვთისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყოს შენი მწყალობელი.“
დააწვინეს... და მიწყნარდა,
მიითვლიმა ისევ ყველა...
სიჩუმეა შინ, გარეთ-კი
ქარი ღმუის და კვლავ ბნელა.

. . . .

. . . .

„არა, დედა ნუ მომიკვდეს,
„გეფიცებით... ჩემმა მზემა,
„მე არ მითქვამს გოლასათვის
„გარეკა და თქვენი ცემა.
„აი, პალტოც კი მოვძებნე
„ჩემი თქვენდა საჩუქრადა...
„ჩემი ბრალი არ ყოფილა,
„ნუ დამსახავთ მე თქვენ მტრადა.
„ვერ მოვასწარ ჰორო, ხაზო,
„თქვენგან ჩვენსას მობრძანებას,
„თორემ აბა მეეზოვეს
„რას მივცემდი ცემის ნებას...
„ჰორო! ხაზო! მაპატიეთ!!.
და წამოხტა ლოგინიდან;
მის მშობლებსაც გაეღვიძათ,
გამოცვივდნენ ოთახიდან;
დაამშვიდეს, დააწყნარეს
და დაჰპირდნენ საჩუქრებსა...
—მხოლოდ იმ პირობით კია,
რომ მომიყვანთ მეგობრებსა, —
უთხრა გოგიმ ვედრების ხმით
შემოხვეულს თვის მშობლებსა:
—გესმის, დედი, დილით ადრე,
მომიძებნეთ პატარები,

№ 2
ეროვნული
ბიბლიოთეკა

თორემ იცი, ველარ გავძლებ,
დარდისაგან დავჭლექდები.
—ჰოო, შვილო, კარგი, კარგი...
გათენდეს და მაშინ, შვილო,
—ჰო და, აბა გაიხედე:
მგონი შუქიც სჩანს, დედილო.
—არა, გოგი, აბა შეხე,
გრიგალი და ქარი მეფობს;
ჯერ შორს არის გათენება,
გრძელდება და ღამე კერპობს.
გამოალო და გრიგალმა
ღრუბელთ ხომლი გააქროლა
და, ვით შიკრიკს უკან რაზმი,
თან ნამქერი გააყოლა...
მიიყვანეს გოგი ტახტთან,
სარეცელზე დააწვინეს,
მოქანცული დარდებითა,
ნუგეშებით დააძინეს.
გარეთ ქარი არესა ჰგლეჯს,
გარეთ ქარი კვნესის, გმინავს,
გოგიმ მშვიდად მოისვენა
და სარდაფში გოლაც ხვრინავს.
გოლას დარდი არ ჰქონია,
გოლას არვინ ებრალება;
გოლას, როგორც ღვიძილის დროს,
ძილშიც ღვინო ეზმანება,—
გოლას ფიქრადაც არ მოსდის
ჰორო—ხაზოს გაჭირვება...
გოგიასაც ჩაეძინა
გათენების მოლოდინში;
გოგიმ ახლა იგრძნო შვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილ ქერ ქვეშ და თბილ ლოგინში,
სიზმარიცა მას თბილი აქვს,
ვით თბილია ბავშვის გული:
ძილის დროსაც გულში უძევს
მწირ-ობლების სიყვარული.
და იძახის იგი ძილში:
—დილით ვნახავ ორივესო,
და რაც ცოდო მაქვს მათდამი,
გადავიხდი სრულად დღესო.

მის შემდგომად, ვინ ჩამოსთვლის,
თუ რამდენჯერ გათენდა დღე,
მაგრამ დღემდე ვერ უნახავს
გოგის ჰორო—ხაზოს სახე.
კიდევ ბევრჯელ გათენდება
დილა მშვიდი, ან მრისხანე,
მაგრამ იმათ სად ვიხილავთ,
დროვ, ვინც შენ თან წაიყვანე?!
ჰოროს, ხაზოს ველარ ვნახავთ,
მაგრამ ვნახავთ იმათ ძმებსა,
და იმათთვის გვმართებს ახლა
ვამზადებდეთ საჩუქრებსა.

ი. მჭედლიშვილი.

ბრძენთა წყარო.

ებრაელთა ძველ ქვეყანაში—იუდეაში, კვირინჩხის დამჭკნარ ჯაგებში და სიცხისაგან გაყვითლებულ ბალახებზე დახეტიალობდა პირქუში, თვალებ-ჩაცვივნული **გვალვა**.

გაზაფხული იყო. მზე თავის სხივებს პირდაპირ აცხუნებდა უჩრდილო მთათა ზურგს. უბრალო ნიავი გამომხმარ მიწიდან ატაცებულ კირიან მტვრის ღრუბლის მზგავს კორიანტელს აყენებდა. ნახირი ვაკეში დამწყდარ რუებთან შეგროვილიყო.

გვალვა დადიოდა და წყლის რაოდენობას ათვალიერებდა; გაუდგა სოლომონის გუბეებისაკენ, მაგრამ გულ-ამოსკვნით ამოიოხრა, რადგანაც დაინახა, რომ სალი კლდის კედლებს ჯერ კიდევ უხვად ალბობდა წყალი. შემდეგ ჩავიდა ბეთლემის ახლო მდებარე სახელ-განთქმულ დავითის ჰასთან; წყალი იქაც ბლომად დაუხვდა. აქედან ნელი ნაბიჯით გამოჩანჩალდა დიდ შარა-გზაზე ბეთლემსა და იერუსალიმს შორის.

ნახევარი გზა განვლო; დაინახა იქვე გზის ახლო ბრძენთა წყარო, და მაშინვე შეამჩნია, რომ იგი მალე დაშრება. გვალვა ჩამოჯდა წყლის აუზზე, რომელიც წარმოადგენდა ერთ ვეებერთელა ამოღრღნილ ქვის ლოდს, და წყალში ჩაიხედა.

სარკესავით წმინდა წყალი, ჩვეულებრივ აუზის თავზე გადმომდინარე, ახლა ღრმად ძირს ჩაწრეულიყო; ტალახსა და სილას ტლაპოდ ექცია იგი.

როდესაც წყალში გვალვის დამჭკნარი სახის ლანდი გამოჩნდა, წყარო შიშით აჩქეფდა.

— ნეტავი ვიცოდე, როდის მოგელება ბოლო?—სთქვა გვალვამ.—ახლა ხომ მიწაში წყლის სუსტ ძარღვსაც ვეღარ იპოვი; არსაიდან არ გამოჟონავს წყალი და არ გამოგაცოცხლებს; რაც შეეხება წვიმას, მადლობა ღმერთს, სამ-ოთხ თვეზე ადრე იმაზე ლაპარაკიც მეტია.

— შეგიძლია არხეინად იყო,—ამოოხვრით უპასუხა წყარომ.—მე ვეღარაფერი მიშველის, თუ სამოთხიდან არ ამოხეთქს ჩემში წყალი.

— აბა, მაშ მე არ მიგატოვებ, სანამ ბოლო არ მოგელება,—სთქვა გვალვამ. მან დაინახა, რომ ხნიერი წყარო სულს ლაფავდა და უნდოდა დამტკბარიყო იმის ცქერით, სანამ წვეთ-წვეთად არ დაიშრიტებოდა.

მარჯვედ ჩამოჯდა ლარზე და სიხარულით უსმენდა წყა-

როს გულის სიღრმიდან ამოანახეთქს ოხვრას. დიდ სიამო-ვნებას განიცდიდა აგრეთვე, როდესაც ხედავდა, როგორ მოდიოდნენ ხახა-გამშრალი მგზავრები, უშვებდნენ წყალში ქურჭელს, მაგრამ რამდენიმე წვეთ მღვრიე წყლის მეტს ვერას პოულობდნენ.

ამრიგად განვლო მთელმა დღემ, და როდესაც დედამიწაზე წყვდიადი გამეფდა, გვალვამ კვლავ წყაროში ჩაიხედა. ძირში კიდევ ბრჭყვიალებდა რამდენიმე წვეთი წყლისა.

— მთელ ღამეს აქ გავატარებ, — წამოიძახა მან. — ნუ აჩქარდები! როდესაც ისე ინათლებს, რომ მე კვლავ შემეძლება შენი დანახვა, მაშინ, უეჭველია, შენ უკვე იქ ბოლო მოგეღება.

გვალვამ წყაროს სახურავზე მოიკალათა; ამ დროს-კი ებრაელთა მიწაზე დაეშვა ცხელი ღამე; დღის შუქზე უფრო მძვინვარე და მქენჯნავი. ძაღლები და მაჩვები შეუწყვეტლივ ღმუოდნენ და გახურებულ თავლიდან მათ ბანს აძლევდნენ მწყურვალე ვირები და ძროხები. ხან-და-ხან წამოუბერავდა სიო და არ აგრილებდა კაცს, რადგანაც მძინარე ვეება გველეშაპის სუნთქვასავით გახურებული იყო.

ვარსკვლავები-კი საუცხოოდ კაშკაშებდნენ და ახალგაზრდა მთვარის მბრწყინავი ნამგალი ნაცრის ფერ მთებს მწიბლოვად ანათებდა მომწვანო ცისფერ შუქით. და ამ მთვარის შუქზე გვალვამ დაინახა გრძელი ქარავანი, რომელიც მიეშურებოდა იმ გორაკისაკენ, სადაც ბრძენთა წყარო იყო.

გვალვა იჯდა და გასცქეროდა ქარავანს, თანაც სტკბებოდა ფიქრით, რომ ამოდენა მწყურვალე სულდგმულნი მოვლენ წყაროსთან და წყურვილის მოსაკლავად ერთ წვეთ წყალსაც ვერ იპოვიან. იმდენი აქლემები და გამძღოლები იყვნენ, რომ სავსე წყაროს დაწრეტაც შეეძლოთ. უეცრად მოეჩვენა, რომ ეს ღამე-მავალი ქარავანი რაღაც არა-ჩვეულებრივ მოჩვენებად გადაიქცა. აქლემები გამოჩნდნენ იმის წინ,

თითქოს, ზევიდან დაეშვნენ გორაკის წვერზე. უბრალო აქლემებზე უფრო დიდები იყვნენ; ადვილად მოჰქონდათ თავისი ვეება ტვირთი.

მაგრამ გვალვა დარწმუნებული იყო, რომ ნამდვილი აქლემები იყვნენ, რადგანაც თავის თვალითა ხედავდა იმათ. ისიც-კი გაარჩია, რომ პირველ სამ აქლემს თითო კუზი ჰქონდა, ნაცრის ფერ მოელვარე ბეწვით მოსილი. მდიდრულად შეკაზმულთ, ზურგთ ეფარათ მდიდრული ხალიჩები. მათი მხედრებიც ფრიად წარჩინებულნი იყვნენ.

ქარავანი წყაროსთან შეჩერდა. სამმა აქლემმა, სამჯერ დაძახების შემდეგ, მყისვე დაიჩოქა; მხედრები მიწაზე ჩამოვიდნენ. დატვირთული აქლემები-კი ისევ იდგნენ. მათ თანდა-თან ემატებოდნენ სხვებიც და ბოლოს გორაზე აქლემების გრძელი კისრებისა და ლამაზად დატვირთულ კუზების მეტი აღარა მოსჩანდა-რა.

სამი მხედარი, რომლებიც კუზიან აქლემებზე ისხდნენ, მაშინვე მივიდნენ გვალვასთან და მიესალმნენ შუბლსა და გულზე ხელის მიდებით. გვალვამ დაინახა, რომ მათ თოვლივით თეთრი წამოსასხამები ეხურათ და თავზე ეხვიათ ვეებერთელა დოლბანდები, ზედ დაკრული ვარსკვლავებით, რომელნიც ისე ბრჭყვიალებდნენ, თითქოს ეს არის ახლა მოსწყვიტეს ციდანო.

— ჩვენ მოვედით შორეული ქვეყნიდან,—სთქვა ერთმა მგზავრთაგანმა, და გთხოვთ გვითხრა, ეს არის თუ არა ბრძენთა წყარო?

— ეს სახელი ქვია მას დღეს,—უპასუხა გვალვამ,—მაგრამ ხვალ აღარ იქნება აქ წყარო. იგი უნდა ამალამ მოკვდეს.

— მესმის, რადგანაც აქ შენა გხედავ,—სთქვა მგზავრმა,—მაგრამ განა ეს ერთი იმ ნაკურთხ წყაროთაგანი არ არის, რომელნიც არასოდეს არ შრებიან. თუ არა და რად ერქმევა მას ამნაირი სახელი?

ბიბლიოთეკა

— ვიცი, რომ ნაკურთხია,—სთქვა გვალვამ,— მაგრამ რა უყოთ მერე? ახლა სამივე ბრძენი სამოთხეში არიან.

მგზავრებმა ერთმანეთს გადახედეს.

—იცი-კი ნამდვილად ამ უძველეს წყაროს ამბავი?—იკითხეს იმათ.

— მე ვიცი ყველა ჭების და წყაროების, რუების და ღელეების ამბავი,—ამაყად უპასუხა გვალვამ.

— მაშ გვასიამოვნე და მოგვიყევი,—სთხოვეს უცხოლებმა. გარს შემოუსხდნენ მცენარეთა მტერს და სმენად გადიქცნენ.

გვალვამ ჩაახველა, შემდეგ შეჯდა მაღლა სახურავზე, როგორც ზღაპრების მთამბე თავის ამაღლებულ დასაჯდომზე, და დაიწყო:

— მიდიელების ქალაქში, გაბესში, რომელიც მდებარეობს უდაბნოების ნაპირას, და ამიტომ ხშირად ჩემთვის სასიამოვნო ბინაა, ძველ დროში ცხოვრობდა სიბრძნით სახელგანთქმული სამი კაცი. თუმცა გაბესში ცოდნა ძვირად ფასობდა, ისინი ძლიერ ღარიბნი იყვნენ. პირველი—ღრმად მოხუცებული იყო, მეორე—კეთროვანი და მესამე-კი—შავი, დიდ-ტუჩა ზანგი. ხალხი არ სარგებლობდა მათი სიბრძნით: პირველს ძლიერ მოხუცებულად სთვლიდა და ეგონა, რომ მისგან ვერას ისწავლიდა; მეორეს, როგორც სნეულს, ერიდებოდა, და მესამეს არ უსმენდა, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ ჯერ არასოდეს არ მოვლენილა სიბრძნე **ეთიოპიიდან.**

ამ დროს კი სამი ბრძენი საერთო განსაცდელს შეეკავშირებია. დღე ისინი ერთსა და იმავე საყდართან მათხოვრობდნენ, ღამესაც ერთად ათენებდნენ. ასე ატარებდნენ დროს საერთო ბაასში სხვა-და-სხვა საოცარ მოვლენათა შესახებ, მოუთხრობდნენ ერთმანეთს რაც-კი რამ ენახათ ბუნების კალთაში და ადამიანთა შორის.

ერთ ღამეს, როდესაც ბალახით დაფარულ ერთ ქოხის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანზე ეძინათ, მოხუცს გამოეღვიძა, მიიხედ-მოიხედა და მა-შინვე გააღვიძა ამხანაგები.

— დიდება ჩვენ სილარიბეს, რომელიც გვაიძულებს ცის ქვეშ წოლას!—სთქვა მოხუცმა.—გაიღვიძეთ და მიაპყრით თვალნი თქვენნი ზეცას.

—მართალი რომ ვსთქვა — განაგრძო ცოტა უფრო რბილი ხმით გვალვამ,—ისეთი ღამე იყო, რომ მნახველს არასოდეს არ დაავიწყდება. სამყარო ისე განათებული იყო, რომ ცა-ჩვეულებრივ მაგარ კამარას მზგავსი, მაშინ ღრმა, მჭვირვალე, ზღვასავებრ ტალღებით აღსავსე უფსკრულს ჰგავდა. ნათელი ადიოდა იქ, ტალღასავით ეფინებოდა და იფანტებოდა; ვარ-სკვლავები-კი ზოგი სიღრმეში და ზოგიც—ზედა პირზე და-სცურავდნენ.

ძლიერ შორს, მაღლა-მაღლა, სამ ბრძენთა თავზე, გამო-ჩნდა რაღაც ბურთის მზგავსი სიბნელე, რომელიც თან-და-თან ახლოვდებოდა და მოახლოვებასთან ერთად უფრო და უფრო ნათლდებოდა, ტურფა ვარდის ფერით იმოსებოდა:— აი, ღმერთმა-კი ბრძანოს მისი დაჰკნობა!—ბნელი ბურთი ოთხივ მხრივ დაირღვა და ოთხივ მხრივ ძლიერი შუქი გამო-კრთა. ბოლოს, როდესაც ყველაზე ახლო მოკაშკაშე ვარსკ-ვლავს გაუსწორდა, გაჩერდა, სიბნელე სრულიად გაჰქრა, შუა-გული ვარდის კოკორივით ოქროს ფურცლებად გადიფურჩქ-ნა და საუცხოვო ბრწყინვალე ვარსკვლავთა-ვარსკვლავად გადაიქცა.

როდესაც მათხოვრებმა დაინახეს იგი, სიბრძნემ მაშინვე ამცნო, რომ დაიბადა ქვეყანაზე მძლეთა-მძლე მეფე, მეფე კი-როსისა *) და ალექსანდრე მაკედონელზე **) უძლიერესი. მაშინ უთხრეს ერთმანეთს: „წავიდეთ ახლად დაბადებულის

---

*) სპარსელების მეფე ძველად.

**) ბერძენთა მეფე,—ცხოვრობდა 356-დან 393 წლამდე ქრისტ. დაბადებამდე.

ეროვნული

დედ-მამასთან და ვაცნობოთ, რაცა ვნახეთ! შეიძლება იმათ-გან მივიღოთ ჯილდოდ ოქროები ან ძვირფასი სამაჯური.“

აიღეს გრძელი ჯოხები ხელში და გაუდგნენ გზას. გაიარეს ქალაქი და ქალაქის კარები, მაგრამ აქ გაუბედავად შეჩერდენ, რადგანაც მათ წინ გამოფიტული, ვეება, გულის მომწყვლელი უდაბნო გადაიშალა. უეცრად დაინახეს, რომ ვარსკვლავმა თავისი ერთი სხივი უდაბნოს ქვიშაზე გადმოისროლა. სიხარულით აღვსილი მგზავრები დაედევნენ მას, როგორც თავის წინამძღოლს.

მთელი ღამე მიდიოდნენ ცხინი ქვიშით დაფენილ თვალუწვდენ უდაბნოში; მუსაიფობდნენ ახლად დაბადებულ მეფეზე, რომელსაც ძვირფას ქვებით მოჭედილ აკვანში მძინარეს მიაგნებდნენ. ბაასობდნენ იმაზე, თუ როგორ წარუდგებიან მეფეს,—ახლად დაბადებულის მამას, და დედოფალს—მის დედას; როგორ ამცნებენ, რომ ზეცა უქადის იმათ პირმშოს ძლიერებას და დიდებას, სილამაზეს და ბედნიერებას, რომელიც არ გამოუცდია თვით მეფე სოლომონსაც-კი.

ლაღობდნენ იმითი, რომ ღმერთმა სწორედ იმათ აჩვენა საუცხოო ვარსკვლავი. ამბობდნენ, რომ ახლად დაბადებულის მშობლებმა სულ უკანასკნელი ოცი ქისა ოქრო მაინც უნდა აჩუქონ, რათა აღარასოდეს არ დასჭირდეთ იმათ მათხოვრობა.

— მე, როგორც ლომი, ვიწექი უდაბნოში,—განაგრძობდა გვალვა,—და მზად ვიყავი თავს დავსხმოდი იმათ, მაგრამ დამისხლტნენ ხელიდან. მთელი ღამე მიჰყავდა ისინი ვარსკვლავს; დილას-კი, როდესაც სხვა ვარსკვლავები ჩაჰქრნენ, ის მაინც ბრწყინავდა და დანათებდა თავს უდაბნოს, სანამ არ მიიყვანა მგზავრები **ოაზსთან**, სადაც მათ იპოვეს წყარო და ხეები მწიფე ხილით.

—ადამიანთა შეხედულებით ეს მოგზაურობა მომხიბლავი იყო,—განაგრძობდა გვალვა.—ვარსკვლავს ისე მიჰყავდა ისი-

ნი, რომ არც შიმშილსა დ არც წყურვილს არ გრძნობდნენ, ვარსკვლავი არიდებდა მათ ეკლიან ქარცეცხლას *), ფხვიერ სილას და სხვა განსაცდელს; მზე არ სწვავდა თავისი მგზნებარე სხივებით და უდაბნოს მხურვალე ქარი ერიდებოდა მათ. ბრძენნი ერთად იმეორებდნენ:—ღმერთი გვიცავს ჩვენ და ლოცავს ჩვენ მწირობას. ჩვენ **იმისი** ელჩები ვართ.

— მაგრამ მე თან-და-თან, მოვიპოვე მათზე გავლენა,— განაგრძობდა გვალვა,—ვარსკვლავის თანამგზავრთა გული. გადაიქცა ისეთივე გამომშრალ უდაბნოდ, სადაც ისინი მიდიოდნენ. ისინი შეიპყრო უნაყოფო ამაყობამ და დამდუპველმა სიხარბემ.

— ჩვენ ღვთის ელჩები ვართ,— იმეორებდნენ ბრძენნი;— ახლად დაბადებულის მამამ ოქროთი დატვირთული ქარავანიც რომ გვაჩუქოს, მაინც საკმაოდ ვერ დაგვაჯილდოვებს.

ბოლოს ვარსკულავმა მიიყვანა ისინი სახელ-განთქმულ იორდანის წყლებთან და აიყვანა ებრაელთა ქვეყნის გორებზე. ერთხელ ღამე იგი გაჩერდა ქალაქ ბეთლემის ზევით, ზეთისხილის ხეებით გარშემორტყმულ გორაკზე.

ბრძენნი შეჩერდნენ და დაათვალიერეს ადგილი. ისინი ეძებდნენ მეფის სასახლეს, მაგარ ციხეებს, ქვის კედლებს, ერთი სიტყვით იმას, რაც შეჰფერის სატახტო ქალაქს, მაგრამ ვერაფერს პოულობდნენ. ყველაზე ცუდი ის იყო, რომ ვარსკვლავის შუქმა ისინი ქალაქში-კი, არა, არამედ გზის განაპირა მდებარე მღვიმეში მიიყვანა. სხივმა შესავლიდან გაანათა მღვიმე და სამმა ბრძენმა დაინახა ყრმა; იგი ეწვა კალთაში დედას, რომელიც ნანას უმღეროდა.

თუმცა ბრძენთა დაინახეს, რომ სხივი ყრმას გვირგვინივით დაადგა თავს, მაგრამ მაინც არ შევიდნენ გამოქვაბულში, არ შევიდნენ, რათა ეწინასწარმეტყველებიათ ყრმისათვის დიდება და მეფის ძლიერება. ისინი წყნარად გამობრუნდნენ, მოშორდნენ ყრმას და ჩამოვიდნენ გორაკიდან ძირს.

*) მცენარეა.

ეროვნული

— ნუ თუ ჩვენ მათხოვრებთან მოვდიოდით, [illegible] ლატაკებთან დ არარაობასთან, როგორც ჩვენა ვართ?—ამბობდნენ ისინი.—განა ამისათვის მოვყავდით აქ ღმერთს, რომ დაცინვა გვეძლვნა მისთვის და აღგვეთქვა დიდება მწყემსის შვილისათვის? უდიდესი ბედნიერება, რასაც-კი ოდესმე ეღირსება ეს ბავშვი,—აქაურ მინდვრებში ცხვრის ფარის მწყემსობა იქნება.

გვალვა შეჩერდა და, თითქოს თავის აზრების დასამტკიცებლად, თავი დააქნია.—განა მართალი არა ვარ?— თითქოს უნდოდა ეთქვა.

— ბევრი რამაა უდაბნოს ქვიშაზე უფრო ხმელი, მაგრამ არაფერია ადამიანის გულზე უფრო უნაყოფო.—როდესაც მცირე მანძილი გაიარეს,—განაგრძობდა გვალვა,—იფიქრეს, რომ გზა დაებნათ, რადგანაც სწორედ არ გაჰყვნენ ვარსკვლავის მიერ ნაჩვენებ გზა და აიხედეს მაღლა, რათა ისევ ეპოვათ იგი და განეგრძოთ გზა. დაინახეს, რომ ვარსკვლავი, რომელსაც აღმოსავლეთიდან მოსდევდნენ, ახლა აღარა სჩანდა ცის კამარაზე.

სამი მგზავრი უეცრად გაშეშდა: მათი სახე ულრმეს ტანჯვას გამოხატავდა.

— ის, რაც ახლა მოხდა,—განაგრძობდა მოამბე,—ადამიანის აზრით შეიძლება სიხარული იყოს. როდესაც ბრძენთ დაინახეს, რომ ვარსკვლავი აღარ მოსჩანდა ცაზე, მაშინვე იგრძნეს, რომ შესცოდეს, და მათ მოუვიდათ ის,—სთქვა გვალვამ,— რაც მოსდის ხოლმე დედამიწას შომოდგომის დროს, როდესაც იწყება ძლიერი წვიმები. ისინი ძრწოდნენ შიშით, თითქოს ელვა-ქუხილის საშინელებას ელოდნენ. მათი გული მოლბა. სათნოებამ გაშალა ყლორტები მათ სულში.

სამი დღე და ღამე დახეტიალობდნენ ისინი უდაბნოში, რათა ენახათ ყრმა და თაყვანი ეცათ მისთვის. მაგრამ ვარ-

სკვლავი არ ეჩვენებოდა იმათ. თან-და-თან ებნელდათ [illegible] და გრძნობდნენ დიად მწუხარებას და სასოწარკვეთილებას. მესამე ღამეს მოვიდნენ ამ წყაროსთან წყურვილის მოსაკლავად. მაშინ ღმერთმა აპატივა იმათ შეცოდება. როდესაც დაიხარეს წყაროსაკენ, წყალში გამოჩნდა ლანდი ვარსკვლავისა, რომელმაც მოიყვანა ისინი აღმოსავლეთიდან.

მაშინვე დაინახეს იგი ცაზე; და მან ხელმეორედ ამოიყვანა ისინი ბეთლემის მღვიმესთან; მოიდრიკეს მუხლები ყრმის წინაშე და წარმოსთქვეს: „ჩვენ მოგართვით შენ ძვირფას სუ-რნელებით სავსე ოქროს თასები. შენ იქნები უდიდებულესი მეფე, რომელიც-კი უნახავს დედამიწას ქვეყნის გაჩენიდან მის აღსრულებამდის. მაშინ ყრმამ სათითაოდ დაადო ხელი იმათ დახრილ თავზე და, როდესაც წამოდგნენ, დაინახეს, რომ მან დააჯილდოვა ისინი ისე, როგორც ვერც ერთი მეფე ვერ შესძლებდა: მოხუცი მათხოვარი შეიქნა ახალგაზდა კაცად, კეთროვანი — განიკურნა, ზანგი-კი თეთრ-პირისახიან ლამაზს ვაჟკაცად იქცა. ამბობენ — ისეთი მდიდრები შეიქნენ, რომ დაბრუნების შემდეგ სამივენი მეფეებად გახდნენ თავიანთ ქვეყანაშიო.

გვალვამ გაათავა მოთხრობა, და სამმა უცხოელმა დაუწყო მას ქება.

— შენ მშვენივრად გვიამბე, — ამბობდნენ ისინი.

— მაგრამ მე ერთი რამ მაკვირვებს, — სთქვა ერთმა მათგანმა, — რომ იმ სამმა ბრძენმა არაფერი არ შესძინა წყაროს, რომელმაც იმათ ვარსკვლავი დაანახვა. განა შეეძლოთ მათ ასეთი სიკეთის დავიწყება?

— განა ეს წყარო, — სთქვა მეორე უცხოელმა, — სამუდამოდ არ უნდა დარჩეს თავის ადგილას, რათა მოაგონოს ადამიანებს, რომ ამპარტავანთა მიერ დაკარგული ბედნიერება კვლავ სათნოების სიღრმეში მოიპოება?

— ნუ თუ წარსულნი — ცოცხლებზე უღირსნი არიან? —

ეროვნული ბიბლიოთეკა

სთქვა მესამემ.—განა ეკარგება კეთილის ხსოვნა [illegible] სამოთხეში იმყოფება?

როდესაც ეს წარმოსთქვეს, გვალვა წამოვარდა; მან იცნო უცხოელნი; მიხვდა, ვინც იყვნენ ეს მოგზაურები, და გაიქცა იქიდან, რათა არ დაენახა, როგორ დაუძახეს მგზავრებმა მოსამსახურეებს, მოაყვანინეს წყაროსთან გუდე-ბით, დაჭვირთული აქლემები და საზრდო, მამაკვდავი წყარო გაავსეს სამოთხიდან მოტანილი წყლითა.

კო^ დელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუთიყუში პოლლი.

აი, ნახე: კიდევ ტელეგრამა,—მიმართა ქ-მა უერინგმა ქმარს:—დეიდაჩემი კვდება; ჩემს მეტი-კი არავინ არა ჰყავს გულშემატკივარი.

— ჩემის აზრით, შენი წასვლა სრულიად მეტია,—გაჯავრებით უპასუხა ქმარმა.

— ოჰ, ღმერთო, ნუ ამბობ მაგას!—გაისმა უცებ ხრინწიანი ხმა ოთახში.—ყვიროდა თუთიყუში, რომელიც აქვე ქანდარაზე იჯდა, მაგრად ჩაექიდა კლანჭები, ქანაობდა და საცოდავი ხმით მოსთქვამდა: „საწყალი პოლლი, საწყალი ჩიტი!“

თუთიყუში, როგორც ბავშვების მეგობარი, ყოველთვის მათ ოთახში იყო ხოლმე, ახლა-კი დროებით სასადილო ოთახში იმყოფებოდა.

— გაჩუმდი, შე სულელო!—დაუყვირა ბ-ნმა უერინგმა, რომელიც ისედაც გაჯავრებული იყო ცოლის წასვლის გამო.

— კარგი, დაანებე თავი პოლლის, ნუ უჯავრდები საცოდავს,—შენიშნა წყნარად ცოლმა.

— საწყალი პოლლი, როგორ არა!.. ყურთა-სმენა არ არის მავისგან: მთელ სახლში ამის ყვირილი-ღა ისმის; აჰა, დაიჭი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამ სიტყვებით გადუგდო გაჯავრებულმა პურის ქერქი, რომელიც შიგ თავში მოხვდა თუთიყუშს.

ფრინველი უფრო გაბრაზდა და საშინელი ყვირილი მორთო.

— აჰა, უყურე, როგორ ბრაზობს,— შენიშნა ბ-მა უერინგმა; საცოდავია— როგორ არა!

— პოლლი ძალიან ჭკვიანია; მაგას ყველაფერი ადამიანსავით ესმის,— გამოესარჩლა ცოლი.

— აბა, დაინახე— როგორ ბრაზობს? მე მინდოდა თავზე ხელი გადამესო; ამ საძაგელმა-კი კინაღამ თითი მომაკვნიტა; უჰ, საძაგელო ქმნილებავ! აი შენ!

ამ სიტყვებით მსუბუქად ჩაკორტნა თავში თუთიყუშს.

უკანასკნელი უფრო გაცეცხლდა, აიბურძგნა ფრთები და სცდილობდა დაეჭირა თავის მტრის თითი.

ქ-ნი უერინგი მიუახლოვდა თუთიყუშს და ალერსიანად უთხრა:

—გეყოფა, პოლლი; შენ კარგი, ჭკვიანი ფრინველი ხარ: ნულარ ჯავრობ.

ფრინველი იმ წამსვე დაწყნარდა და განაგრძო ქანდარაზე ქანაობა: თავის მტერი-კი ყურადღების ღირსად აღარ გახადა.

—მე უნდა რამდენიმე დღით მოვშორდე ოჯახს, პოლლი,—განაგრძო ქალბატონმა; შენ ჭკვიანად იყავი, ყური უგდე ჩემ შვილებს, არ დამიჩაგრო პატარები!

ბ-ნმა უერინგმა, ამ ლაპარაკის დროს, ცოტათი შერცხვენილმა თავის საქციელით, აიღო გაზეთი და დაიწყო ვითომდა კითხვა.

თუთიყუშმა მოიღერა ყელი და დაცინვით გადახედა თავის ბრაზიან ბატონს.

ერთი საათის შემდეგ ქალბატონი უერინგი, სამგზავროდ გამზადებული, უკვე ემშვიდობებოდა ქმარ-შვილს და ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლას ეხვეწებოდა, განსაკუთრებული ყურადღებით მოვლოთ სულ უმცროს ელენესთვის და არ გაეჯავრებინათ პოლლი.

გავიდა ერთი კვირა. ძლივს მოახლოვდა ის სასურველი დღე, როდესაც უნდა დაბრუნებულიყო ოჯახის დედა. ყველა მოუთმენლად ელოდა იმ საათს, როდესაც გულში ჩაიკრავდნენ ძვირფას დედას.

ცოლის გასტუმრების შემდეგ ბ-ნი უერინგი ცდილობდა რაც შეიძლება მეტის ალერსით მოპყრობოდა თავის პატარა სამ შვილს. იგიგრძნობდა თავის თავს პასუხის მგებლად ცოლის წინაშე; ხშირად თამაშობდა შვილებთან და, ასე გასინჯეთ, შვილები ისე გაუკადნიერდნენ, რომ რიგ-რიგად მოასკუპდებოდნენ კისერზე და მამაც სიამოვნებით ატარებდა ოთახში.

როცა ბავშვები დედის მოსვლის წინა დღეს ემშვიდობებოდნენ მამას, ამ უკანასკნელმა იგრძნო, რომ ამ ერთ კვირაში იგი უფრო დაუახლოვდა თავის პაწაწებს, და ახლა ისინი წინანდელზე უფრო ძვირფასნი იყვნენ.

ბავშვები დაწვნენ დასაძინებლად; მამა-კი შევიდა თავის კოხტა კაბინეთში და კიდევ დიდხანს იჯდა გაზეთებში გართული, გულით-კი რაღაც არა-ჩვეულებრივ ნეტარ გრძნობას განიცდიდა შვილებთან დაახლოვების გამო. ბოლოს მამაც ჩაწვა ქვეშაგებში იმავე ნეტარი გრძნობით და მალე ტკბილად ჩაეძინა. ძილში-კი რაღაც მიზეზის გამო სულ შფოთავდა; მალ-მალე ილვიძებდა, მიუგდებდა ყურს:—ყველაფერი სდუმდა; და ისევ ჩაეძინებოდა. მაგრამ აი, რაღაც საშინელ სიზმრებს ხედავს; საზარელი ყვირილი ესმის; ხმაურობა უფრო და-უფრო მატულობს. უერინგმა ძლივს გაიღვიძა და მოესმა ისევ ის გულშემზარავი კივილი. ყური დაუგდო; ყვიროდა თუთიყუში.

„დაწყევლილი თუთიყუში,—წაიბუტბუტა მან:—თუ მა-

გის გულისთვის ავდეგ, კისერს მოუგრეხ!“ ამ სიტყვებით გადაბრუნდა მეორე გვერდზე და ცდილობდა ისევ დაეძინა. თუთიყუში განაგრძობდა ყვირილს, მაგრამ უერინგმა წაიხურა თავპირზე საბანი და არ ინძრეოდა. ბოლოს ველარ მოითმინა.

„ეტყობა კატა შეიპარა ოთახში,—გაიფიქრა მან,— „დეე, შეჭამოს ეგ საძაგელი ფრინველი: არ დამენანება;—მაგრამ ვაი თუ ბავშვები გაალვიძოს.

წამოდგა უერინგი ფეხ-აკრეფით და ნელა შეაღო კარები მეორე ოთახში:

„რა არის? ბოლი? დამწვრის სუნი? მთელი ოთახი მოცულია ცეცხლით? კიდევ კარგი, რომ ამ ოთახში არ სძინავთ ბავშვებს! ძველ ხის სახლს მეტიც არ უნდა: ორ საათში გადიბუგება.“

უერინგმა საჩქაროდ დახურა ამ ოთახის კარები, თითონ-კი გაიქცა საბავშვო ოთახისაკენ ყვირილით: „ძიძა, ძიძა, ადექი, სახლს ცეცხლი უკიდია!“

შეშინებული ძიძა წამოხტა ქვეშაგებიდან და იქვე დავარდა გულშემოყრილი. რასაკვირველია ალარაფერი შველა ალარ იყო იმისგან მოსალოდნელი. უერინგი მივარდა შვილების ქვეშაგებს. დასტაცა ხელი ჯერ ერთ ბავშვს, მერე—მეორეს და ყვირილით: „ცეცხლი, ვიწვით!“ გაექანა გასავალ კარებისკენ. დიდხანს მოუნდა სალოდავი მამა კარების გაღებას.—გაღების უმალვე, ბავშვებით ხელში, საშინელ ყინვის მიუხედავად გაჰკურცხლა საჯინიბოსკენ, რომელიც კარგა მოშორებით იყო სახლზე. გაალვიძა მეჯინიბე: აქვე პატარა ოთახში ცოლთან ერთად ცხოვრობდა. ბავშვები მეჯინიბის ცოლს ჩააბარა. თითონ-კი მეჯინიბესთან ერთად სწრაფად გაეშურა ალში გახვეულ სახლისკენ; გზაში მოასწრო შემდეგი ბრძანების მიცემა:

— ჩქარა გაიქეცით ბავშვების ოთახში: დრო საკმაო

[illegible library stamp]

გვაქვს. იქ ძიძა არის გულშემოყრილი; გამოიტანეთ [illegible] ჩემი უმცროსი ქალი; მერე გაიქეცით მეზობლებთან საშველად. შეატყობინონ ქალაქში ცეცხლის მქრობელ რაზმს.

ამ ბრძანების შემდეგ, თვითონ საჩქაროდ გაემართა იმ ოთახში, სადაც თუთიყუში ეგულებოდა; გადასწყვიტა გამოეყვანა იქიდან ფრინველი, რომელმაც თავისი ყვირილით გააღვიძა იგი და ამით სიკვდილისგან იხსნა მთელი ოჯახი.

გზაში უერინგი შებრუნდა თავის საწოლ ოთახში, საჩქაროდ დაასველა პირსახოცი, შემოიბორბლა ცხვირ-პირზე, რომ სუნთქვა არ გასძნელებოდა.

როცა უერინგმა შეაღო იმ ოთახის კარები, სადაც თუთიყუში იმყოფებოდა, კინაღამ იქვე არ წაიქცა: მთელი ოთახი ბოლით ავსილიყო; ფრინველი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო; იგი ყვიროდა, მაგრამ უწინდელზე სუსტად.

ოთახში ისე ბნელოდა, რომ უერინგმა ძლივს მიაგნო თუთიყუშს. ერთ წუთში სტაცა ხელი ფრთებში და გაექანა კარებისკენ; როგორც-კი გამოვარდა კარებიდან, პოლლი ისე საშინლად უკბინა თითზე, რომ სისხლი წასქდა.

— უჰ, შე დაწყევლილო! შენ რომ მე დროზე არ გაგეღვიძებინე, ახლავე დაგახრჩობდი!—დაიყვირა გამწარებულმა უერინგმა.

პოლლი, პასუხის მაგივრად, გაუსხლტა ხელიდან და უკანვე, ცეცხლის ალში გახვეულ ოთახისკე გაფრინდა.

— თუ ეგრე ძალიან მოგწონს, დაიღუპე!—გაბრაზებით მიაძახა ბატონმა და გამოვარდა სახლიდან.

ეზოში უკვე შეგროვილიყო ხალხი. ფანჯრებიდან ცეცხლის წითელ-ყვითელი ენები გამოსკდომას ლამობდნენ. უერინგმა ჯერ დაუწყო განკარგულების მიცემა ცეცხლის მქრობელთ, მაგრამ უცებ მოაგონდნენ შვილები და იმათკენ გაეშურა.

როცა შევიდა ოთახში, სადაც ბავშვები იმყოფებოდნენ,

წინ გამოეგება უკვე შიშისგან გამორკვეული ძიძა [illegible] ციცებით ჰკითა: „სად არის ლიუსი, პატარა გოგონა?“

— როგორ! განა მეჯინიბემ არ გამოიყვანა ბავშვების საწოლიდან?

— მას არ სძინებია დღეს იქ,—ამოიკვნესა საცოდავმა დედაკაცმა:—სურდო სჭირდა და, რომ სხვებს არ შეჰყროდა, თუთიყუშის ოთახის გვერდზე დავაწვინე.

უერინგი უხმოდ გაბრუნდა იმ წამსვე და საკვირველი სისწრაფით გაექანა იმ ოთახისკენ, საცა უკვე ორჯელ იყო იმ ღამეს. იგი თითქმის ჰკუაზე შესცდა შიშის და მწუხარების გამო...

ოთახი მთლად ცეცხლით განათებული დახვდა;—ბოლი უკვე გამსკდარ ფანჯრების მინებიდან გადიოდა გარედ; კედლები, ავეჯეულობა ლაპლაპობდა, წითელ-ყვითლად საზარლად ანათებდა პაწაწა ლოგინს, რომელშიაც როგორც მკვდარი იწვა პატარა გოგონა: სარეცელის მოაჯირს ნახევრად დამწვარი თუთიყუში ჩაბღაუჭებოდა თავის კლანჭებით. უბედური მამა მივარდა ცოცხალ-მკვდარ ბავშვს და აიტაცა ორივე ხელით. შვილი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მამას არ დაევგვიანა... გახარებული მამა მსწრაფლ გამოვარდა ოთახიდან, მაგრამ ველარ მოითმინა და კარებიდან მოხედა ერთგულ ფრინველს.

პოლლი-კი ნახევრად უსულო, იჩხეოდა მოაჯირზე, როგორც ერთგული ყარაული, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს სიკვდილამდინ არ დასტოვოს თავისი ადგილი.

—პოლლი, ჩემო ძვირფასო, გმადლობ!—სასოწარკვეთილებით დაიგმინა უერინგმა; გული სევდით ევსებოდა,—მომიცადე, ახლავ შენთვინაც დავბრუნდები.

გაიგო თავგანწირულმა პოლლიმ? ერთი თვალის ქუთუთო თითქოს აეხილა, გაიხედა უკანასკნელად ბავშვისკენ, ათრთოლდა, ბრჭყალები დაუდუნდა და შავი, მძიმე ბელტივით დაეცა იატაკზე.

შუშანიკა ასათიანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანტონ ფურცელაძე

ანტონ ფურცელაძე.

(ნეკროლოგი).

ულმობელმა სიკვდილმა ჩვენ საყვარელ სამშობლოს კიდევ ერთი მსხვერპლი გამოსტაცა: წარსულ წლის 4 ნოემბერს, დილის 9 საათზე, ფილტვების ანთებით გარდაიცვალა სოფ. არბოში (გორის მაზრა) ანტონ ნიკოლოზის-ძე ფურცელაძე.

შეუმჩნევლად, სათითაოდ გვეთხოვებიან ძველი მოღვაწენი და, ჩვენდა სანუგეშოდ, გვრჩება მხოლოდ მათი კეთილი საქმენი და „თელილნი“ გზანი, რომელნიც წინად “უვალნი“, გაუკაფავნი იყვნენ.

ვის არ გაუგონია ანტონ ფურცელაძის სახელი? იგი უკვე 75 წლის მოხუცი იყო და ამ ხნის განმავლობაში დაუღალავად, პირ-ნათლად ემსახურებოდა ყოველ ქართულ საქმეს, ჰზრუნავდა ყოველ ჩვენ საჭიროებაზე და ჰფიქრობდა ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესობაზე. „ყმაწვილო, იყავ უცვლელად ერთგული შენის ქვეყნისა“, ამბობდა ანტონი ერთ თავის ლექსში და ამ მოძღვრებას თვითონვე პირველი ასრულებდა ნამდვილი საქმით: სიტყვით და კალმით განუწყვეტლივ გვიქადაგებდა გამოფხიზლებას, განვითარებას, ჰკიცხავდა ჩვენს დავრდომილებას და აქებდა მხნეობას და სათნოებას, თუკი ეს სადმე მოგვეპოვებოდა.

ანტონი სამოქმედოდ გამოვიდა იმ დროს, როცა ჩვენში ყოველი საზოგადო საქმე და, კერძოდ, მწერლობა მხოლოდ

ფეხს იდგამდა. წარსული საუკუნის მე-60 წლებში მწერლობა ისე ძლიერი არ იყო როგორც ახლაა: ათასნაირ დამაბრკოლებელ გარემოებათა გარდა, საძნელო ის იყო, რომ ყველაფერს მაშინ დაწყობა, შექმნა, გამოგონება და დამკვიდრება ეჭირვებოდა: სკოლა, წიგნები, გაზეთი, ჟურნალი, თეატრი, ბანკი,—ყველა ეს ან არ არსებობდა, ან თუ არსებობდა, მეტად სუსტად და მკრთალად იჩენდა სიცოცხლის ნიშნებს. ქართულ საზოგადო საქმეს ესაჭიროებოდა იმ დროს არა მარტო პატრონი, მზრუნველი, არამედ ძიძა, აღმზრდელიც. ისეთ პატრონებად და ძიძა-აღმზრდელებად ითვლებიან ივანე კერესელიძე, დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, დიმიტრი ბაქრაძე, იაკობ გოგებაშვილი, ნიკოლოზ ცხვედაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, ზოგნი სხვანი დ მათ შორის ანტონ ფურცელაძე.

ამათი სახელები არას დროს არ ამოიფხვრება ჩვენი კულტურის და საზოგადოებრიობის ისტორიის ფურცლებიდან და მადლიერი შთამომავლობა მათ მუდამ დიდის სიამით, მოწიწებით და სიამაყით გაიხსენებს.

ანტონი დაიბადა 1838 წელს ერთ ქართლელ ღარიბ აზნაურის ოჯახში. როგორც იმ დროს მიღებული იყო, იგი მშობლებმა სასწავლებლად კადეტთა კორპუსში მიაბარეს, თუმცა აქ კურსის დასრულება ვერ მოუხდა, რადგან გიმნასტიკაში ვარჯიშობის დროს ფეხი მოიტეხა, რის გამოც იძულებული შეიქმნა ეს სამხედრო სასწავლებელი სრულიად მიეტოვებინა.

ამ უბედურების შემდეგ ანტონი დაბრუნდა შინ და სრული 5 წელიწადი დაჰყო მშობლის ოჯახში, სადაც გულმხურვალედ და გატაცებით შეუდგა ქართული წიგნების კითხვას და ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესწავლას. კითხულობდა დიდის დაკვირვებით და შეგნებით. გაუცნობელი არ დარჩე-

ნია არც ერთი ნაბეჭდი, არც ერთი ხელნაწერი, სადამდისაც-კი მას ხელი მიუწვდებოდა.

17—18 წლისა იქნებოდა, როცა სოფელს გამოეთხოვა და დაბინავდა ახლა ტფილისში, სადაც სახელმწიფო სამსახურიც იშოვა. ანტონს სოფელშივე აღეძრა ქართული ენისა და ისტორიისადმი სიყვარული და აქ ჩამოსვლის უმალვე შეეცადა გარეულიყო იმისთანა წრეში, ეშოვნა იმისთანა მეგობრები, რომელნიც მის მისწრაფებას, სურვილს და გემოვნებას შეეფერებოდნენ. ასეთი წრე დიდი არ იყო და ამიტომ მისი გაცნობაც საძნელო არ იქნებოდა.

ტფილისშიაც ანტონმა განაგრძო თვით-განვითარების საქმე. ამავე დროს იწყობს სამშობლო ქვეყნის სამსახურსაც, რისთვისაც ჰკიდებს ხელს კალამს. დაუახლოვდა მაშინდელ ჟურნალ „ცისკრის“ თანამშრომლებს და მათთან ერთად იღებს მხურვალე მონაწილეობას არა მარტო ლიტერატურულ, არამედ ყოველგვარ ჩვენ საზოგადო საქმეში. ეს მონაწილეობა და დაუღალავი შრომა ანტონისა გრძელდება სიკვდილის დღემდე. ხანგრძლივობასთან ერთად ეს შრომა მეტად მრავალ-ფეროვანი იყო. ანტონი სწერდა ლექსებს, მოთხრობებს, დრამებს, საპუბლიცისტო, საისტორიო და სამეურნეო ხასიათის წერილებს. ლიტერატურულ ნაშრომთა შორის აღსანიშნავია „მაცი ხვიტია“, „ვაი მართალთა“, „ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესაერთებლად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო“. „ჩვენებური საქმის ბოლო“, „ავაზაკნი“, „ბაგრატიონთ ქება“, „ივდითი“, „ჩვენი ქვეყნის ძალა“, „ხმალი თუ ინდუსტრია“ და მრავალი სხვა.

ანტონის მრავალ-რიცხოვანი ნაწარმოები გაფანტულია თითქმის ყველა ჩვენ ძველ პერიოდულ გამოცემებში. „ცისკრის“ გარდა მისი სახელი ხშირად გვხვდება ჟურნალ „მნათობში“, სერგეი მესხის გაზეთ „დროებაში“ და სხვა.

წერასთან ერთად, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ანტონი ყველა ქართულ საზოგადო საქმეში აქტიურ მონა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წილეობას იღებდა. ჩვენ ვხედავთ მას გამგეობის წევრადაც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“, „ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა“, „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ღარიბ მოწაფეთა შემწეობის საზოგადოებისა“ და სხვა.

თავის სამსახური ანტონმა დაასრულა ტფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკში, სადაც იგი იყო ჯერ დამფასებლად, მერე დირექტორად და ბოლოს, ილია ჭავჭავაძის სამსახურიდან გადადგომის შემდეგ, არჩეულ იქმნა ამავე ბანკის თავმჯდომარედ. ამ საპასუხისმგებლო სამსახურს მხოლოდ რამდენიმე წლის წინად დაანება თავი და დასასვენებლად დაუბრუნდა მშობლის კერას სოფ. არბოში.

საუკუნოდ იყოს ხსენება დაუღალავ მოღვაწის და სამშობლო ქვეყნის გულშემატკივრის ანტონისა.

ალ. მირიანაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფრთოსანი ფეიქრები.

რადგანაც რკინის გზით მოგზაურობა არ მინდოდა, ჩავჯექი მარსელიდან ტრიესტში მიმავალ გემში და გავემგზავრე რუსეთისკენ. გენუაში ერთი ინგლისელი შემოგვემატა. ის მოდიოდა შორეულ აფრიკიდან და გალიით მოჰყავდა რაღაც გარეული ფრინველები. თურმე ის ვაჭრობდა ამ ფრინველებით. ყიდულობდნენ მისგან სხვა-და-სხვა სამხეცეები და ზოოლოგიური ბაღები. რადგანაც ფული ცოტა მქონდა, მივდიოდი მესამე კლასით. მომათავსეს გემის ერთ ყრუ კუნჭულში, სადაც სულ ორი ადგილი იყო. მეორე ადგილი ინგლისელმა დაიჭირა. მან თან შემოიტანა რამდენიმე ყუთი და პატარა გალია, რომელიც სავსე სყო პატარა მონაცრისფრო ჩიტუნებით. აბუზული ჩიტები შესაბრალისად გამოიცქირებოდნენ გალიიდან.

— ხომ არ შეგაწუხებთ ჩემი მხეცები? — მკითხა ინგლისელმა.

— არა, არა, არა უშავს-რა, — მიუგე მე. მაშინ მან გაალო ყუთი, საიდანაც ამოხტა ორი მაიმუნი. გაკვირვებით მიი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელ-მოიხედეს და შეძვრნენ ტახტის ქვეშ. ეტყობოდათ—დაღლილიყვნენ მოგზაურობით.

— ეს რა ფრინველია?—ვკითხე ჩემ თანამგზავრს და გალიაზე მიუთითე.

— ფეიქრები გახლავთ,—მომიგო ინგლისელმა.—ესენი ისეთი ფრინველებია, რომლებიც ბუდეს-კი არ წნავენ, არამედ ქსოვენ. მაგათ ბადალი არა ჰყავთ ამ მხრით ფრინველთა საშეფოში.

ინგლისელმა გახსნა ერთი ყუთი და ამოიღო რაღაც რგვალი ნივთი, რომლის მოყვანილობა მწარე-ხაპს, (გოგრას) მოგვაგონებდათ. ის ხელოვნურად იყო მოქსოვილი წვრილი ძაფებისაგან. როცა შიგნით ჩავყავი ხელი, ვიგრძენი, რომ იქაურობა რბილი ბუმბულით იყო მოფენილი.

— ეს არის ბუდე ამ ფრინველებისა,—მითხრა ინგლისელმა.—ბუდე ერთი თავით მიმაგრებულია ხის ტოტზე დ ისეა ჰაერში გამოკიდებული, როგორც მსხალი. ხოლო ის თავი, საიდანაც შესასვლელია დოტოპებული, ყოველთვის ძირს არის მოქცეული.

კიდევ უფრო ყურადღებით დავათვალიერე ბუდე. ნაქსოვი ისე მჭიდროდ იყო, რომ ნაბდისაგან ვერ გაარჩევდით.

— როგორც უკვე გითხარით, ეს ლიტრის მზგავსი ბუდე თავით ყოველთვის ძირს ჰკიდია და ეს ჰფარავს ჩიტებს წვიმისაგან. წარმოსადგენადაც-კი ძნელია, თუ როგორ აკეთებენ ასეთ რთულ რამეს ეს პატარა ჩიტუნები, რომელთაც გარდა ნისკარტისა არაფერი იარაღი არ გააჩნიათ. ეს ფეიქარი—ჩიტები ცხოვრობენ ყოველთვის ჯგუფებად და ყველანაირ საქმეს საერთო ძალით აკეთებენ.

აფრიკის იმ ადგილებში, საიდანაც მოვდივარ დ ეს ფრინველები მომყავს, ხეები ისეა დიფარული ასეთი ბუდეებით, როგორც კარგად მსხმოიარე მსხლის ხე. ბუდეების საკეთებლად თავს იყრის 200—300 ახალგაზდა ჩიტი. ამოირჩევენ ერთ

ხეს და დაუწყებენ ფოთლებს წვრილ-წვრილ ძაფებად ხეწავს. ჩიტი ეშვება ზევიდან, სწვდება ნისკარტით ფოთლის ბოლოს, დაუშვებს ფრთებს და მთელი ტანის სიმძიმით ეშვება ძირს და თან ფოთოლს ძაფისათვის წვრილ ნაწილს აცილებს. ჩაიგდებს რა ასეთი ხერხით მასალას ხელში, ჩვენი ფეიქარი მიფრინავს ხაბუდარისკენ და იწყებს ქსოვას. გაფცქვნიან ასე ერთ ფოთოლს. შემდეგ გადადიან მეორეზე, მესამეზე და რალაც ორ-სამ დღეში ლამაზად შეფოთლილ ხისაგან ტიტველა ტოტები-ღა რჩება. მუშაობის დროს ისეთი ყივილ-ხივილი და ხმაურობაა, რომ კარგა მოშორებით გაიგონებს ადამიანი. მუშაობით ისე არიან გატაცებულნი, რომ ხშირად ადამიანის მიახლოვებასაც ვერ ამჩნევენ და ხიფათში ებმიან, თუმცა შავ-კანიანები მაინცა და მაინც არ იცხელებენ მათთვის თავს: ეძცევიან ისე, როგორც ჩვენ ბელურებს. მთელი მაგათი ახალშენი სახლდება უსათუოდ ერთ ადგილას, და თან ისეთს, საცა წყალი არის ხოლმე. რაც უნდა მრავალრიცხვიანი იყოს ახალშენი, ყველა ბუდე უთუოდ წყლისკენაა გადაკიდებული და ვერც ერთი სულდგმული ვერ მისწვდება ბუდეს და ბარტყებს ვერ მოიტაცებს.

— თქვენ როგორ ჩაიგდეთ ხელში ეს ბუდე?—გავაწყვეტინე ლაპარაკი ინგლისელს.

— აი, ყური დამიგდეთ. ბუდეზე მამლები მუშაობენ, დედლები მხოლოდ შველიან მათ. მთელი თვე გრძელდება მამალი ჩიტის მუშაობა. ათავებს ბუდის ქსოვას და იწყებს მის საბოლოოდ გაკოხტავებას: უსწორებს გვერდებს, ჰფენს შიგნით ბუმბულს, ამტვრევს გარშემო ისეთ ტოტებს, რომლებიც უშლიან თავისუფლად მოძრაობას. როცა ბუდე მზად არის, დედალი სდებს შიგ ოთხ ჭრელ კვერცხს, რომლებიდანაც მეთორმეტე დღეზე სჩეკავს ბარტყებს. ეს ბარტყები ძალიან გვანან ჩვენებურ ბელურების ბარტყებს. თითო ბუდეში ერთ ოჯახზე მეტი არასოდეს არ თავსდება. ოჯახი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესდგება დედ-მამისა და ბარტყებისაგან. იჩეკება თუ არა ბარტყები, ყოველივე ზრუნვას დედა იღებს თავის თავზე; მამალი ახლა ისვენებს. დედა ჩიტი ზრუნავს გამოკვებაზე, ბუდის შეკეთებაზე და სხვა. მამალი ზის იქვე ტოტზე და მხიარულად ჭიკჭიკებს. მხოლოდ ორჯერ დღეში, დილითა და საღამოს შორდება ბუდეს, იჭერს ჭია-ღუას და უმასპინძლდება შვილებს. ბარტყებს ფეიქარი-ჩიტები ჭია-ღუით ჰკვებავენ, თვითონ-კი მხოლოდ ხორბლეულობისა და ხის ნაყოფს მიირთმევენ. მთელი გროვა მოეფინება ბაღს და ერთ წამში მთელი ბაღი იძარცვება. ძალიან ემტერებიან ანანასის ბაღებს. ორი თვის ბარტყები სტოვებენ ბუდეს და იწყებენ ჯგუფ-ჯგუფად ფრენას. მთელ დღეს მხიარულ ჟივილ-ხივილში ატარებენ. მოსაღამოვდება თუ არა, ყველა თავის ბუდეში ბრუნდება. ასე გრძელდება სამიოდე თვე. მეხუთე თვეზე ახალგაზდა ფეიქარნი იცვლიან ფერს, ნაცრისფერი სხვა ფრად ეცვლებად.

ინგლისელმა გალია ჩემსკენ მოსწია.

— აი ეს ნაცრისფერნი ახალგაზდანი არიან, ჯერ ფერი არ უცვლიათ. აი ის მოზრდილნი კი ძველი ჩიტებია, ფერი რამდენჯერმე აქვთ ნაცვალი. ახალგაზდები იცვლიან თუ არა ფერს, სტოვებენ მშობლებს და იქვე მახლობლად იწყებენ საკუთარი ბუდის კეთებას. პირველი ბუდე ვერ გამოსდით მოხდენილი, აკლია სიმკვიდრე და სილამაზეც. ახედ-დახედვენ, და რაკი არ მოეწონებათ, შლიან და იწყებენ ხელახლად კეთებას. ასე იქცევიან რამდენიმეჯერ, ხან მთელი თვეობით და წლობითაც-კი გრძელდება ასეთი წვალება, მაგრამ რამდენი ხანიც უნდა გავიდეს, ბუდე ეკუთვნის მხოლოდ იმ დედალ-მამალს, რომელთაც ააშენეს ის. თუ ისინი მიდიან სადმე, ან იღუპებიან. ბუდე ცარიელი რჩება. თუ გამოჩნდებიან ისეთი თავხედნი, რომ ბუდეს დაეუფლებიან, ასეთებს მაშინვე მივარდებიან, აგდებენ სხვის ბინიდან. ბუდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შლიან და ქარს ატანენ. მტაცებელთ-კი სულ აძევებ[illegible] ფიდან და დიდხანს ჟივილ-ხივილი და ჩოჩქოლი უდგათ.

მოხდება ზოგჯერ, რომ მიტოვებულ ბუდის დასაკუთრებას სხვა ჯიშის ფრინველი მოინდომებს. აქ-კი ხუმრობას აღარა აქვს ადგილი. ფეიქრები ძაფით ნისკარტში შემოეხვევიან ბუდეს და წამზე გამოსასვლელს ხლართვენ ძაფებით, ასე რომ საბრალო ფრინველი სამუდამოდ რჩება ბუდეში დამწყვდეული. საერთოდ ფეიქარ-ჩიტებს ძალიან უყვართ ერთობა და ყველა ძნელ საქმეს საერთო ძალით აკეთებენ ხოლმე. ცალ-ცალკე ისინი ჩქარა იღუპებიან. ამიტომ მომყავს ერთად ამდენი. ცალკე არც-კი ვყიდი მაგათ. ახლა ბერლინში მიმყავს, იქაურ ზოოლოგიურ ბაღს უნდა მივყიდო. იგრძნობენ თუ არა ცოტაოდენ თავისუფლებას, მაშინვე შეუდგებიან ბუდის კეთებას.

— ბარტყებსაც გამოჩეკენ?—ვკითხე მე?

— არა,—მომიგო ინგლისელმა,—ესენი ტყვეობაში ბუდეს დიდის ხალისით აკეთებენ, მაგრამ ბარტყებს-კი ვეღარ სჩეკავენ. გაათავებენ თუ არა ბუდის ქსოვას, მაშინვე დაშლიან და იწყებენ ხელ ახლა კეთებას. ასეთ შრომაში ატარებენ მთელ დროს. ქსოვენ და არღვევენ. უსაქმოდ გაძლება არ შეუძლიათ: ასეთია მაგათი ბუნება.

— ჰყავთ მტერი სამშობლო აფრიკაში?

— ძალიან ცოტა. მტრისათვის ძნელი მისადგომია მაგათი ბუდე, რომელიც ყოველთვის ხის ტოტის ბოლოზეა ჩამოკიდებული და ქვეშ წყალი ჩაუდის. გარდა მაიმუნისა, ვერც ერთი ცხოველი ვერ უდგება მაგათ ბუდეს. მარტო მაიმუნი ახერხებს ტოტების გაყოლას და კვერცხების მოპარვას. მას ძლიერ უყვარს ამ ჩიტების კვერცხი. მაგრამ ფეიქარ-ჩიტებიც ხშირად უხდიან სამაგიეროს; არა ერთი და ორი უბანავებიათ ცივ-წყალში. შეამჩნევენ თუ არა ქურდს, გამოცვივიან ბუდეებიდან, შემოეხვევიან მტერს და არ აძლევენ

ეროვნული

ნაპირზე გამოსვლის ნებას. მაშინ მაიმუნი ბუდიანად ჩავარდება წყალში და ზოგჯერ იღრჩობა კიდეც. კვერცხებიანი ან ბარტყებიანი ბუდე-კი არხეინად დაცურავს წყალზე და რამდენიმე ასი საჟენის შემდეგ უახლოვდება ნაპირს. აი ეს ბუდეც ნაპირზე ვნახე. ეს ორი მაიმუნიც მე გადავარჩინე დაღრჩობას. სწორედ იმ დროს მივუსწარი, როცა ფეიქარ-ჩიტები შემოხვეოდნენ და არ უშვებდნენ ნაპირისაკენ. თქვენ ეი, აქ მოდით.

ინგლისელი დაიხარა და ტახტის ქვეშიდან მაიმუნები გამოათრია. მაიმუნებმა შიშით დაგვათვალიერეს. გემის პატარა ოთახი ბნელ საკანად ეჩვენათ საბრალოთ. მათ გონიერ ადამიანისებურ თვალებში ამოიკითხავდით დიდ ტანჯვა-დაჩაგრულობას. მე ცრემლებიც-კი შევნიშნე იმათ თვალებში. პატრონმა აჰამა მათ სტაფილო და ჩქარა დაიძინა.

ჩიტები საცოდავად წივწივებდნენ. სადღაც ჯურღმულიდან-კი მოისმოდა მანქანის მძიმე ქშენა. ვუცქეროდი ამ ჩიტებს და გული მიკვდებოდა. მეცოდებოდა ისინი, მეცოდებოდა იმიტომ, რომ სამუდამოდ მოეშორებინათ სამშობლოსთვის და მოჰყავდათ ცივი ჩრდილოეთისაკენ, სადაც ვეღარ იხილავდნენ ლაჟვარდოვან ცას და ალმზედელ ბუნებას. მოამწყვდევენ რომელიმე ზოოლოგიურ ბაღში, სადაც ქალაქის ხალხი დაუწყებს მათ ჭვრეტას რკინის ბადეში და ეგონებათ, რომ ხედვენ ფრთოსან ფეიქართა ნამდვილ ცხოვრებას.

საბრალო ჩიტები!

ქარი ჰქროდა. გემი იქით-აქეთ ირხეოდა და ძილს ჰგვრიდა ადამიანს. მეც გავშალე საბანი, ამოვიდე თავით ბალიში, წავიხურე შალი და დავწექი დასაძინებლად. მაიმუნები მომიჩოჩდნენ და ნელ-ნელა შემოძვრნენ შალ ქვეშ. ისე ახლო მომეკვრნენ, რომ ვგრძნობდი მათ კანკალს. როცა გათბნენ, ადამიანებივით გადაეხვივნენ ერთმანეთს და მაგრად ჩაეძინათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მინდოდა, რომ სიზმრად მაინც ენახათ წარსული თავისუფალი, ლაღი ცხოვრება. და ვცდილობდი განძრევით ან ხმაურობით არ დამერღვია მათი მოსვენება.

საბრალო მაიმუნები! ნეტავი არასოდეს არ გენახათ გემოთ ფეიქარ-ჩიტების კვერცხი. რა დღე მოგელით?!

გ. ლ—ძე.



ტროადის ომი.

პრიამოსის ილიონში დაბრუნება და ჰექტორის დასაფლავება.

ელლინთა მხედრობის გმირთა-გმირს აქილევსს და მის სტუმრებს ჯერ კიდევ ეძინათ, როცა ჰერმესი გაუთენებლივ მეფე პრიამოსის საწოლს მიუახლოვდა და ესეთი სიტყვებით მიმართა ღრმა ძილში მყოფს ილიონის მოხუც გვირგვინოსანს:

„დიდებულო მოხუცო! რა დროს ძილია? განა არ იცი, რომ მტრის ბანაკში მოსვენებით ძილი შეუძლებელია! მართალია გმირთა გმირმა აქილევსმა ღირსეული პატივი გცა, მაგრამ ელლინთა მხედრობის მთავარ-სარდალმა აგამემნონმა რომ გაიგოს შენი აქ ყოფნა, უეჭველად ცუდ რასმეს შეგამთხვევს! შენ მრავალი ძვირფასი საჩუქარი მიუძღვენი აქილევსს დიდებული ჰექტორის გვამის გამოსასყიდად, მაგრამ შენ შვილებს, დარწმუნებული იყავ, ერთი სამად მეტი საჩუქარი დასჭირდებათ, თუ დროზე თავს არ უშველე!“

მეფე პრიამოსი ამ სიტყვებმა შეაშფოთა: იგი დაუყოვნე-

ბლივ ფეხზე წამოდგა და თავისი თანამხლებელი გააღვიძა. ჰერმესმა ელვის სისწრაფით ცხენები შეაბა ეტლებში, [illegible] მეფე პრიამოსი და მისი თანამხლებელი იდეოსი ხმა-ამოუღებლივ ჩასხდნენ ეტლებში და მწუხარებით მოცულთ ჰექტორის გაცივებული გვამი ილიონისაკენ წაასვენეს.

ჰერმესი, სანამ მგზავრები ელლინთა ბანაკს გასცდებოდნენ, თან ახლდა მეფე პრიამოსს ერთგულ მცველად. მეფემ და მისმა მხლებელმა უვნებლად გაიარეს ელლინთა ბანაკი და მიაღწიეს მდინარე ქსანთოსის ნაპირას, სწორედ იმ ადგილას, საცა ელლინთა მხედრობისაგან უკვე არავითარი საფრთხე არ მოელოდათ. ჰერმესი ქსანთოსის ნაპირას მგზავრებს შეუმჩნევლად ჩამოშორდა და მაღალ-წვეროვან ოლიმპოსისაკენ ელვის სისწრაფით გაემართა.

მეფე პრიამოსი ტირილითა და გოდებით ილიონის ზღუდეთა ბჭის კარებისაკენ გაემართა. ჯერ კიდევ გათენებული არ იყო. ილიონის მკვიდრთ, ქალს თუ კაცს, დიდსა თუ პატარას, ყველას ეძინათ. მხოლოდ ერთად ერთ კასსანდრას, პრიამოსის ქალიშვილს, დაეტოვებინა თავისი საწოლი და ქალაქის ზღუდეთა ციხეებიდან ელლინთა ბანაკისაკენ თვალ-მოუშორებლივ გაიცქირებოდა საყვარელი მამის მოლოდინში.

კასსანდრამ, დაინახა თუ არა შორიდან მომავალი მეფე პრიამოსი და სამგლოვიარო ეტლი ჰექტორის გაციებული გვამით, მორთო საზარლად ქვითინი. საბრალო კასსანდრა დაუყოვნებლივ ქალაქისაკენ გაემართა, ელვის სისწრაფით მიმოირბინა ტროადის ფართო ქუჩები და ერთ წამს მთელი ქალაქი ფეხზე წამოშალა. პრიამოსის საყვარელმა ქალმა ასეთი სიტყვებით მიმართა ტროადელებს: „დიდებულ ტროადის ქალნო და ვაჟნო! მოგროვდით და დაალვარეთ ცხარე ცრემლები ჰექტორის გაცივებულ გვამს! გამოდით ქალაქ გარეთ და მიესალმეთ თქვენ საყვარელ ჰექტორს, რომელიც თქვენ ძვირფას სამშობლოს მუდამ გუშაგად უდგა და და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძინებელ მტერს თავზე შიშის ზარს სცემდა! დით ქალაქ გარედ და ახლაც მიესალმეთ თქვენ საყვარელ გმირს, მხოლოდ ამ ჟამად სარეცელზე მწოლარეს! დიდებული ილიონის მზე ჰექტორის სიკვდილის შემდეგ სამუდამოდ ჩაესვენა! ჩვენი დაუსვენებელი მტერი ამიერიდან უშიშრად და მოურიდებლად გადმოლახავს ილიონის მიუვალ ზღუდეებს და სამუდამოდ მიწასთან გაასწორებს ტროადის მკვიდრთა ბინადრობას! დიაღ, ჰექტორის სიკვდილის შემდეგ ილიონი ჭეშმარიტად რომ დაობლდა! დაღვარეთ ცხარე ცრემლები, ილიონის მკვიდრნო! დაღვარეთ ცხარე ცრემლები ქალებო და ვაჟებო, დიდებო და პატარებო, რადგან ამიერიდან თქვენ საყვარელ სამშობლოს დაუძინებელ მცველად არ ეყოლება გმირთა-გმირი ჰექტორი!“

ტროადის მკვიდრნი, დიდი და პატარა, ქალი და ვაჟი, ყველანი ამ სამწუხარო ამბის გაგებაზე ქალაქის ალაყაფის კარებისაკენ გაემართნენ. მთელი ილიონის მკვიდრი ქალაქის ალაყაფის კარებთან მოგროვდა. ყველაზე წინ იდგნენ ჰექტორის მეუღლე ანდრომახა და საბრალო მოხუცი დედა ჰეკაბა.

სამგლოვიარო ეტლმა უკვე მოაღწია ქალაქის ბჭის კარებთან. ჰექტორის გაცივებულ გვამის დანახვაზე საბრალო ანდრომახამ და ჰეკაბამ მორთეს მწარედ ქვითინი; საბრალონი პირს იკაწრავდნენ; თავზე თმას ბლუჯ-ბლუჯად იგლეჯდნენ, გულში მაგრად იკრავდნენ ჰექტორის გაცივებულ პირის სახეს, მხურვალედ ჰკოცნიდნენ და ცხარე ცრემლებით ასველებდნენ. ილიონის გმირთა-გმირის სარეცელს. ანდრომახასა და ჰეკაბასთან ერთად მთელი ილიონი ქვითინებდა, ყველანი ცხარე ცრემლებს აფქვევდნენ და გულ-ამოსკვნით თავს დასტიროდნენ ილიონის საუკეთესო გმირთა-გმირის გაციებულ გვამს. მთელი დღე განუწყვეტლივ გლოვისა და ტირილის ზარი გუგუნებდა ქალაქის ბჭის კარებთან

და არვის ფიქრად არ მოსდიოდა მიცვალებული [illegible] წაესვენებინათ. ბოლოს მეფე პრიამოსმა მიმართა ხალხს ესეთი სიტყვებით: „ნება მომეცით მიცვალებული მოვასვენო სასახლეში და შემდეგაც მოესწრებით ტირილსა და ვაებას!“

მეფის ამ სიტყვებზე ხალხი ორად გაიყო და სამგლოვიარო ეტლი სასახლისაკენ გაემართა. ილიონის ფართო ქუჩები ხალხით იყო ავსებული, რომელიც მწუხარედ ცრემლებს აფრქვევდა და უნუგეშო სასოწარკვეთილებას ეძლეოდა ილიონის საუკეთესო გმირთა-გმირის დაკარგვის გამო.

სამგლოვიარო პროცესსიამ მიაღწია მეფის სასახლემდის. ჰექტორის გაციებული გვამი შეასვენეს სასახლეში და საუცხოოდ მორთულ ალაგას მოათავსეს. გარს შემოერტყა მგალობელთა გუნდი, რომელიც სამგლოვიარო საგალობელს უგალობდა მიცვალებულს. მიცვალებულისავე მახლობლად ისხდნენ თმა-გაშლილი ქალები, რომელნიც ხმამაღლად სტიროდნენ და ჰექტორის საგმირო საქმეებს მსმენელთ ამცნებდნენ. გულსაკლავი იყო მოტირალი ქალების მოთქმა და ვაება, ყველას ტანში ჟრუანტელს ჰგვრიდა, ყველანი ერთად იცრემლებოდნენ. ყველაზე უფრო გულსაკლავი იყო ანდრომახას, ჰეკაბას და მშვენიერი ელენეს მოთქმა.

ანდრომახა ასე გულსაკლავად დასტიროდა თავის საბრალო მეუღლეს: „ჰექტორ, ჩემო ძვირფასო ჰექტორ! ძლიერ, ძლიერ ადრე გამოეთხოვე წუთისოფელს დ ასე უდროოდ დაგვაობლე! შენ ხომ, ჩემო ძვირფასო, ჯერ კიდევ გაუფურჩქნელი ვარდი იყავი, და ასე უდროოდ უნდა დამჭკნარიყავი! მე საბრალომ როგორ უნდა ავიტანო ეს აუტანელი მწუხარება! განა უჰექტოროდ წარმოსადგენია ილიონის კეთილდღეობა! არა და არა, ჩემო უძვირფასესო მეგობარო! შენ იყავი მამაცი მცველი ილიონის მკვიდრისა, ილიონი შენით სულდგმულობდა, შენით იყო ზურგ-გამაგრებული! დღეს-კი

სამუდამოდ მოაკლდა ეს ნუგეში, ეს იმედი! შენ იყავი ილიონის მკვიდრთა დაუღალავი მცველი და შენი სიკვდილის შემდეგ განა საეჭვოა, თუ რა ბედი მოელის ილიონის უმწეო ქალებს და უსუსურ ბავშვებს! მე თავის დღეში ვერ ვნახავ დავაჟკაცებულს ამიერიდან ჩემ პატარა ასტიანაქსს, რადგანაც ჩვენი მოსისხლე მტერი ტროადას გაანადგურებს, მიწასთან გაასწორებს. ელლინთა მხედრობა ტყვედ წაიყვანს ილიონის ქალებს და უსუსურ ბავშვებს და მათ შორის მეცა და ჩვენ პატარა ასტიანაქსსაც! ვინ იცის, როგორ უდიერად მოგვეპყრობა ჩვენი მოსისხლე მტერი! დიაღ! ასეთი უბედურება მოგველის, ჩემო ძვირფასო ჰექტორ! უშენოდ, ჩემო უგულითადესო მეგობარო, ჩვენი სიცოცხლეც მოუხერხებელია! შენით და შენთვის ვცოცხლობდით, ჩემო ჰექტორ, ჰექტორ!“

ასე გულსაკლავად მოსთქვამდა ანდრომახა და მასთა ერთად მწარედ ქვითინებდნენ ყველა იქ დამსწრენი. საბრალო მოხუცი დედა ჰეკაბა მეტის მწუხარებით ძლივს ფეხზე იდგა და თავის საყვარელ შვილის გაციებულ გვამს ასე დასტიროდა: „შვილო, შვილო, ჩემო ძვირფასო შვილო! განა შენს ძლიერ მკლავებს ასე უმოძრაოდ ყოფნა შეშვენის, შვილო! განა შეიძლება ყველასი ასე მოძულება! შენ ხომ უსაზღვროდ გიყვარდა შენი სამშობლო, შენი საკუთარი ცოლი და შვილი, შენი მოხუცი მშობლები! მერე რად დაობლე ყველანი! ვინ იქნება ამიერიდან მათი შენებრ მცველი და პატრონი? შვილო, შენს ვაჟკაცობას ეს არ შეშვენის! შვილო, ჩემო ტკბილო ჰექტორ, სიმწარისაგან ძუძუები მეწვის და მედაგვის!“

ჰეკაბას შემდეგ მშვენიერმა ელენემ ასეთი სიტყვებით მიმართა თავისი საყვარელი მაზლის გაციებულ გვამს: „ძვირფასო ჰექტორ! აგერ ოცი წელიწადია, რაც მე ტროადაში ვარ. ამ ხნის განმავლობაში მრავალი უსიამოვნება მინახავს, მრავალჯერ სულ მაჯლობელ პირებს შეურაცმყოფა მოუყე-

ნებიათ. მაგრამ არ მახსოვს არასოდეს, რომ შენგან ერთი-რამ ცუდი გამეგონოს. ყოველთვის და ყველას იმას აგონებდი, რომ ყველანი ლმობიერად მოეპყრობოდნენ. დიაღ! მე ამას კარგად ვგრძნობდი და კიდევაც ამიტომ ჩემ საუკეთესო მეგობრად და საიმედო მცველად გთვლიდი. დღეს, ჩემო ძვირფასო მეგობარო, შეც დამობლე სხვებთან ერთად. მთელს ილიონში ამიერიდან მე საიმედო მეგობარი არა მყავს, არა მყავს ნუგეშის მცემელი! შენი უდროოდ სიკვდილი, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ყველაზე უფრო ჩემთვისაა საგრძნობელი და კიდევაც ამიტომ ვსტირი და მუდამ სატირელი მექნება!“ ასე მწარედ მოსთქვამდა მშვენიერი ელენე და მასთან ერთად მთელი ტროადის მკვიდრნიც ცრემლების გუბეში იწურებოდნენ.

ბოლოს მეფე პრიამოსმა უბრძანა ილიონის მკვიდრთ იდის მთა-გრეხილებიდან შეშა ჩამოეზიდნათ კოცონის გასამართავად. ტროადელებმა ცხრა დღის განმავლობაში ჩამოზიდეს ჯორებითა და ცხენებით იდის მთიდან შეშა და გამართეს დიდებული კოცონი. მეათე დღეს ჩვეუ-

ლებისამებრ დაასვენეს კოცონზე ჰექტორის გვამი და ცეცხლი შეუკეთეს. მეთერთმეტე დღეს მთელი ილიონის მკვიდრი შეიკრიბა კოცონის გარშემო, ღვინით ჩააქრეს ჩაფერფლილი კოცონის ცეცხლი, მოაგროვეს ჰექტორის ძვლების ფერფლი, ძვირფას ქურჭელში ჩაყარეს და ღრმად გათხრილ საფლავში დაასაფლავეს.

საფლავზე აღმართეს მაღალი ბექობი და ირგვლივ მჭიდროდ თლილი ქვებით შემოაწყვეს.

ილიონის მკვიდრნი დიდხანს და დიდხანს დიდებულ გმირის საფლავს გარს უვლიდნენ და ცხარე ცრემლებს ნაკადულებრ ბექობს აფრქვევდნენ.

ა. მიქაბერიძე.



მცურავი ქალაქი.

ევროპასა და ამერიკას შუა ძევს ატლანტიის ოკეანე. მისვლა-მოსვლა ამ ორ ქვეყნებს შორის ძალიან ხშირია: ყოველ დღე ევროპისა და ამერიკის ნავთსადგურებიდან ათასობით გადის გემები. გემების პატრონთა შორის დიდი მეტოქეობაა. ყოველი მათგანი ცდილობს რაც შეიძლება გააადვილოს და გააიაფოს მგზავრობა, რომ ამით მიიზიდოს ხალხი.

ასი წლის წინად, როცა ორთქლმავალ გემების ხსენებაც არ იყო, ზღვაზე მოგზაურობა ქარზე იყო დამოკიდებული და გრძელდებოდა ხან-და-ხან თვეობით. ორთქლმავალი გემების შემოღებამ მგზავრობა გააადვილა და დააჩქარა: რასაც იალქნიანი გემები თვეს ანდომებდა, ორთქლმავალი ანდომებს ერთ კვირას. ამ ათი წლის წინად ყველაზე სწრაფი გემი ევროპიდან ამერიკამდე სამ კვირას ძლივს მიდიოდა, ახლა-კი იმდენად დახელოვნდნენ გემების შენებაში, რომ ამ მანძილს ექვს დღეს გადიან. ახლანდელი გემი აკვირვებს ადამიანს თავისი სიდიადით. ყველაზე დიდი გემი „ტიტანიკი," რომელიც დაიღუპა ამ ორი წლის წინად, სიგძით მეოთხედი ვერსი იყო. ასეთი უზარმაზარი გემების აშენება რამოდენიმე მილიონი ჯდება: ამიტომ ასეთ გემებს აშენებენ საამხანაგოდ. ამას წინად გერმანიის ქალაქს ჰამბურგში შესდგა ასეთი ამხანაგობა. ამხანაგობამ ააშენა ამერიკაში სამგზავრო გემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„იმპერატორი.“ ეს გემი ყველა აქამდე აშენებულ გემებს ჭარბობს თავისი სიდიდით და მოწყობილობით. ოკეანეს სხვა გემები „იმპერატორთან“ შედარებით ნავებს გვანან. ამ გემის სიგძე ას-ორმოცდა ათი საჟენია, სიგანე—14 საჟ. მას აქვს 11 სართული, სიმაღლე 266 მეტრი—(135 საჟ.). გემის აყენება რომ შეიძლებოდეს, ორმოცდა თექვსმეტ სართულიან სახლს, რომელიც ამ ხანებში ამერიკაში ააშენეს, გადააჭარბებდა. ამ გემის საკვამლე მილები ისეთი ფართოა, რომ შიგ თავისუფლად გაეტევა სპილო. სიმაღლით 21 მეტრია. გემს მგზავრობაში 425,000 ფუთი ნახშირი უნდება. ეს აუარებელი ტვირთი შვიდას ვაგონს გაავსებდა. „იმპერატორის“ ხუთი ლუზა $112^{1}/_{2}$—600 ფუთამდეა. ლუზის ჯაჭვს 1200 მეტრი სიგძე აქვს.

ეს ვეებერთელა გემი თავისი მოწყობილობით ნამდვილ ქალაქს წარმოადგენს. აქ არის გაშენებული მშვენიერი ბაღი საუცხოო ტროპიკულ მცენარეებით და ყვავილებით შემკული; მარმარილოს აუზი, საბანაოდ; სიგძე აქვს 17 არშინი, სიგანე და სიღრმე—ოთხი არშ. მგზავრებისათვის მოწყობილია აბანო, როგორც საერთო, ისე ცალკე ვანები, რიცხვით ორასი; არის გიმნასტიური დარბაზი ყოველნაირი სავარჯიშო მოწყობილობით. სავარჯიშო-სათამაშოები იმართება აგრეთვე გაშლილ ადგილსაც, სუფთა ჰაერზე. გონების გართობაც არ არის დავიწყებული გემზე: მოწყობილია მშვენიერი წიგნთ-საცავი და სამკითხველო, სადაც მოიპოვება წიგნები და გაზეთები ექვს ევროპიულ ენაზე. წარმოიდგინეთ—გემზე გაზეთიცკი გამოდის.

გაზეთისთვის საჭირო ცნობებს უმავთულო ტელეგრაფი აწვდის. მოთავსებულია საავადმყოფოები, აფთიაქები, ექიმების ხელმძღვანელობით; აქვე არის გამართული სხვა-და-სხვა მაღაზიები—წიგნების, სათამაშოების, თეთრეულის, ყვავილების და სხვა. სხვა-და-სხვა სახელოსნოები, სადალაქო, ფეხსაცმე-

ეროვნული

ლების, თერძების; მოწყობილია თეატრიც, სამუსიკო დარბაზიც; სადაც იმართება წარმოდგენები დ კონცერტები. თეატრის დარბაზი ლამაზად არის მორთული ყვავილებით. სასეირნოდ მოწყობილია სამი დიდი და განიერი ბაქანი. სართულებს შუა მიმოსვლა ასაყვანი მანქანებით სწარმოებს, რომელთაც ამოძრავებს ელექტრონი. გემი განათებულია ელექტრონით და ამ მცურავ ქალაქში მცხოვრებთა რიცხვი 5000 კაცს აღემატება; ჩვენებურ სამაზრო ქალაქებს უდრის. მგზავრებისთვის მთელი ბინებია გამართული, რომლებიც შესდგება ხშირად ექვსი—რვა ოთახისაგან. ყველაფერი ესა ხელს უწყობს, რომ მგზავრი ისე თავისუფლად მოეწყოს, როგორც თავის სახლში. რასაკვირველია, ყველა ამ ფუფუნებით სარგებლობს მარტო მდიდარი—პირველი ან მეორე კლასის მგზავრი. პირველ კლასში არის ნომერი, რომელიც 5000 მანეთი ღირს. მესამე კლასის მგზავრები მოთავსებული არიან გემის ბოლოზე. მართალია, მათი ოთახები ისე მდიდრულად არაა მორთული, როგორც პირველი და მეორე კლასის, მაგრამ შევიწროვებას მაინც არ გრძნობენ. სხვა გემებზე მესამე კლასის მგზავრები ჩაყრილნი არიან სადღაც ჯურღმულში. მათ არც დასაწოლი ადგილი აქვთ და არც დასაჯდომი; სმა-ჭამას ნულარ იტყვით. ამ მხრით „იმპერატორის“ მგზავრები გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან. ყველას ეძლევა ახალი ნაალი, ბალიში, ცალკე ქურქელი, რომელიც მის საკუთრებად რჩება და ნოყიერი საჭმელი. როცა გემი ნაპირს მიადგება, ნახმარ ნაალს და ბალიშებს სწვავენ. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან შეჯგუფულ მგზავრებს შორის ყოველნაირი გადამდები სენი ადვილად იკიდებს ფეხს.

უბედურების თავიდან ასაცდენად გემზე ყოველნაირი ზომებია მიღებული. ტიტანიკის დაღუპვამ მეზღვაურთ ბევრი გამოცდილება შესძინა. ბაქანზე მოთავსებულია ოთხმოცდარვა ნავი, რომლებშიაც ეტევა 6000-ზე მეტი კაცი. ყველა ეს

ნავები ერთ წამში შეიძლება წყალში ჩაუშვათ. გემის უმავ-თულო ტელეგრაფის საშუალებით შეიძლება დროზე [illegible]ბონ თავისი გაჭირვება, როგორც ნავთსადგურებს, ისე ზღვა-ში მცურავ გემებს. მეთერთმეტე სართულზე მოთავსებულია სადარაჯო ადგილი, სადაც გემის უფროსი ან ერთ-ერთი მი-სი თანაშემწე მუდმივ დგას. ტელეგრაფის საშუალებით ის აქედან აძლევს ბძანებას თავის ხელქვეითებს, რომლებიც და-ფანტულნი არიან ამ ვეებერთელა გემის სხვა და-სხვა ადგი-ლას. როგორც ბძანება, ისე ამ ბძანების შესრულება ავტო-მატიურად იწერება საგანგებო მანქანების საშუალებით. ამ გვარად უფროსმა ყოველ წამს იცის გემზე რა ხდება. გემი უზრუნველყოფილია ცეცხლისა და წყლისაგან; ამისთვის იქ მოწყობილია ყველგან რკინის კარები. ეს კარები ავტო-მატიურად იხურება და არ უშვებს ცეცხლს ან წყალს შემ-დეგ ოთახში. გემზე მოსამ-სახურეთა რიცხვი 1000 კაცზე მეტია.

ამნაირადაა მოწყობილი ეს ვეება გემი—ქალაქი, სადაც თვითეული მგზავრი თავს მყუდროდ, კარგად და უზრუნველ-ყოფილად გრძნობს და თვალ-უწვდენ ოკეანეზე მგზავრობა არ აშინებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

რებუსი

(წარმოდგენილი ჯვადუ ქიქოძის-მიერ).



მე-2 №-ში მოთავსებულ რებუსის ახსნა.

ვინც რომ კაცია ჩოხა—ჯაჭვია; ქუდი ნაბდისა — ჩაბალახია.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე. გამომც. თ. პ. ი. თუმანიშვილი.

„ნაკადული“-ს რედაქციაში

და

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) **ტომის თავგადასავალი,**—თხზ. მარკ ტვენისა, თარგმ. გრ. ყიფშიძისა, ფასი . . . . . . 50 კ.

2) **რას გვიამბობს ოთახი,**—თხზ. ავენარიუსისა, თარგმ. გ. ჯაფარიძისა, ფასი . . . . . . 20 კ.

3) **დასურათებული ასაწყობი ანბანი,**—ფასი . . . 1 მ. 20 კ.

4) **სკრუჯი და მარლეი,**—საშობაო მოთხრობა, ჩარლზ დიკკენსისა, თარგმანი ნინო ნაკაშიძისა, ფასი . 25 კ.

5) **დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები** ჰ. ქ. ანდერსენისა, ერ. სეტ. ტომპსონისა, გ. ინსაინისა და რ. კიპლინგისა, ფასი . . . . 30 კ.

6) **ბავშვობა და სიყრმე,**—მოთხრობა ლევ ტოლსტოისა, თარგმ. ნინო ნაკაშიძისა, ფასი . . . . 60 კ.

7) **ორი მხატვარი,**—თარგმანი დ. ავალიანისა, ფასი . 15 კ.

8) **სამშობლო ბუნების სარკე.** დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები,—ივანე ელიაშვილისა, ფასი. 30 კ.

9) **შობა,** მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან,—ნინო ნაკაშიძისა, ფასი . . . . 5 კ.

10) **ახალგაზრდა მეფის სიზმარი და დევი—ეგოისტი,** ორი მოთხრობა ოსკარ უაილდისა, თარგმ. ივ. მაჭავარიანისა, ფასი . . . . 5 კ.

11) **დათო,**—ირ. ევდოშვილისა, დიდების მაძიებელი, თარგმ ალ. შანშიაშვილისა, ფასი . . . 5 კ.

12) **მოთხრობები,**—ლაგერლეფისა და სხვა უცხო მწერლებისა . . . . 5 კ.

13) **იგავ-არაკნი,**—125 დასურათებული, პატარა მოთხრობა, ავტორის სურათით, ალ. მირიანაშვილისა, ფასი. . . . . 75 კ.

14) **ბიძია თომას ქოხი,**—რომანი **ბიჩერ-სტოუსი** ზანგთა განთავისუფლების დროისა, სურათებითა და

1914 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

✦ წელიწადი მეათე ✦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით;

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

36 სურათს ნაკადულის I-ლ გვერდზე.

საჩუქრად 1914 წ. ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი **„მიწის ძვრა და ცეცხლის მფრქვეველი მთები“** (მრავალი სურათებით) გიორგი ანთელიძისა.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5** მ. ნახევარ წლით—**3** მან., ცალკ-ცალკე მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი—3** მან., მოზრდილთათვის **12 წიგნი—3** მან. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

საზღვარ გარედ: ერთი წლით **7** მ. ნახევარი წლით **4** მ.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრეჯის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ.

ხელის მოწერა შეიძლება

ტფილისში —„ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули,“ Головинскій пр. № 8, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთან. — **ფოთში** — თეოფილე კანდელაკთან. **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან, ტროფიმ ინასარიძესთან ~~ფოსტაში, და ანასტასია ლომინაძესთან~~. **ოზურგეთში დ ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვასო პაატაშვილთან. **ახალციხეში**— კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან, ნინო გელაშვილთან და ივანე ელიაშვილთან. **გორში**—ნინო ლომოურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან. **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან. **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან. **განჯაში**—ბ. ამბოქაძესთან. **ერევანში**— კ. ოდიშარიასთან. **სიღნაღში** —ნ. ახმეტელაშვილთან. **ყარსში** — ივ. საათაშვილთან. **ალექსანდროპოლში**—ს. მატბერაშვილთან. **ნახიჩევანში**—სამსონ მარჯანიშვილთან. **ხონში** —მ. ი. ჭავჭანიძესთან. **რაჭაში**. —მასწავლებ. ილია გოგიასთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

გამომცემელი თავ. **პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**